# ბურჯი ეროვნებისა

№12
2000

975
2000



ბესარიონ
ჯორბენაძის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი
რედაქტორი
და გამომცემელი
გიორგი
გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ჭაბუკა ქირია

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და
დიზაინი
ირაკლი ავალიანისა

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობაიშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გვეტაძე,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ქეთევან დათუკიშვილი,
ნანა ურთაშვილი,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლეჟნევილია,
ინგა ლეტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

მორიგე რედაქტორი
რამაზ ქურდაძე

რეგისტრირებულია ქ. თბილისის
მთაწმინდის რაიონის სასამართლოს
მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
ვ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

ინდექსი 76016

# I ათასწლეულის მიწურული

**გიორგი მერჩულე:** „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების".

# II ათასწლეულის მიწურული

საქართველოს ყოველ კუთხეში ქართულითა ენითა ჟამი აღარ შეიწირვის და ლოცვაჲ აღარ აღეს-რულების...

# რა გველის III ათასწლეულში?

# შინაარსი


## უკვდავება ღვაწლისა

ვუსმინოთ მიხეილ ჯავახიშვილს ........ 2

სულმნათი ........ 4

**ქ. ლომთათიძე**, მოგონება სიმონ ჯანაშიაზე ........ 6

**ა. არაბული**, მეცნიერი და მასწავლებელი ........ 8

## დედაენა

ნ. ჯორბენაძე, სწორია... ........ 11

## აბიტურიენტის ფურცელი

**ა. ნიკოლეიშვილი**, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" ........ 12

## სიტყვიერების მასწავლებელი

**მ. სიმონიშვილი**, X–XI კლასებში ქართული ენის სწავლებისთვის ........ 17

## ენა და თეატრი

**თ. გოგოლაშვილი**, ენისა და მეტყველების პრობლემები ილია ჭავჭავაძის თეატრალურ რეცენზიებში ........ 18

## ადიდებს სული ჩემი უფალსა

ნ. ჯორბენაძე, მარად ცოცხალი და ახლობელი ........ 21

## თვალსაზრისი

**მ. ჩაჩანიძე**, რეკლამა, როგორც სოციალური ფენომენი ........ 22

**ე. ლონდარიძე**, სიტყვისა და მუსიკის კავშირი ბალადაში ........ 25

**გ. კუჭუხიძე**. „ხელით წერილი" ანბანი ........ 27


გარეკანზე: „მეორე ათასწლეული"– პლაკატი ირაკლი ავალიანისა

ერთგულებისა და თანადგომისათვის მადლობას მოვახსენებთ და დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ მირიან ხაჭვანს!


# ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№12 (36)

2000






გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი



27089

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი 120 წლის წინათ დაიბადა ქვემო ქართლში, სოფელ წერაქვში. „გარემოებამ ორჯერ გამარუსა და ისე დამავიწყა ქართული, რომ საყვედლპუროც ძლივსღა მესმოდა," – თქვა და კლასიკური ქართულის შესასწავლად ქართულ წიგნსა და ქართულ სოფელს შეეკედლა...

მერე მთელი ცხოვრება ქართული ენისა და მწერლობის სამსახურს შეალია...გთავაზობთ რამდენიმე შეგონებას მ. ჯავახიშვილის კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებიდან ამოკრებილს. ვუსმინოთ მიხეილ ჯავახიშვილს...



# ვუსმინოთ მიხეილ ჯავახიშვილს

ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გინდაც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება.

**ნაპოლეონი ამბობდა, ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერმე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისთვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერმე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული.**

იმ თაობას - წერეთლებსა და ჭავჭავაძეს, ერისთავებსა და რაზიკაშვილებს, ყიფიანებსა და ნინოშვილს, ყაზბეგსა და ლომოურებს, სახელოვანსა და უსახელოს - ბელეტრისტებს, პოეტებსა და ჟურნალისტებს - ენის დაწმენდის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინათ, მარტო ამისთვისაც ღირსი იქნებოდნენ განუზომელ მადლობისა და უკვდავების ძეგლისა. და ამ ლიტერატორებს თავიანთი მოთხრობები, ლექსები და დრამები ვახტანგებისა და დოდაშვილების ენით რომ ეწერინათ, ქართული კულტურა წინ აღარ წავიდოდა.

**ზოგჯერ ენას სიბერწე შეეპარებოდა ხოლმე. საკუთარს ვეღარა ჰქმნის, ყველაფერს ახალს სხვისგან სესხულობს და ხელოვნურად მდიდრდება.**

დღევანდელი რუსული ლიტერატურა ხელაღებით სდევნის უცხო სიტყვებს, სამაგიეროდ ხალხში საკუთარს ეძებს და უხვადაც პოულობს. ზოგიერთებმა (ლეონოვი, კლიჩკოვი, ანდრეი ბელი, ივანოვი) გადააჭარბეს კიდევაც. ზოგჯერ რუსულის ხეირიან მცოდნესაც უძნელდება მათი გაგება. რა თქმა უნდა, გადაჭარბებაც მეტად სახიფათოა, საერთოდ კი დღევანდელი რუსი მწერალი სწორ გზას მისდევს და ქართველმა მწერალმაც ეს გზა უნდა ამოიჩინოს.

**უკვე ვთქვი: კუთხური სიტყვების და ფორმების თავისუფალი შემოშვება ზოგჯერ ანარქიას ჰქმნის და სალიტერატურო ენას ხიფათს უქადის მეტი. მაგრამ ეს ხიფათი თითქმის არაფერია შედარებით უცხო სიტყვათა წარღვნასთან. კუთხური ჩვენი ბუნებისა მაინც არის და იმდენად არ ეხამუშება სმენას, როგორც ზოგიერთი უცხო სიტყვა.**

ამღვრეული და ბნელი მეტყველება ამღვრეულივე აზროვნების ნიშანია. აზრი სიტყვას ეძებს და, რომ ვერ პოულობს, უძალოდ ფართხალებს და მახინჯდება.

**ქართული ენის აღრევაში ყველამ დაიდო წილი: მწერალმა, ჟურნალისტმა, მეცნიერმაც, საბჭოთა მოსამსახურემაც და სახელმძღვანელოს ავტორმაც.**

ჭირი დაუძლეველი სჯობიაო. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული.

**ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია, მაგრამ ჩვენი დანარჩენი ჭირ-ვარამნი და სატკივარნიც დაძველდნენ.**

ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა. მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და აჭრელდა. ისიც გვახსოვს, რომ ერთ დროს გადაგვარებულებს თითებზე ჩამოვთვლიდით ხოლმე. ახლა კი ანგარიში აგვერია და სათვალავი დაგვეკარგა. გვახსოვს „დროების", „ივერიის", „მოამბეს", და „ცნობის ფურცლის" ქართული, ეხლა კი ქართულ ლიტერატურულ ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და ეხლაც იგივე ჰქმნის, მაგრამ თუ რამ ირყვნება და ლპება, ეხეც უმეტესად მასვე უნდა მიეწეროს. უფლებაც მისია და პასუხისმგებლობაც. Атаману первая чарка, ему же первая палка.

მისი ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა, დამძიმდა. აღარც ძველი ნათელობა შერჩა, არც გამჭვირვალება, არც მკაფიობა და მოქნილობა. რაც ხუ-

თი სიტყვით ითქმის, ათიც ძლივსღა ჰყოფნის.

უსაზღვრო ყოფილა მოთმინება ქართველი მკითხველისა და ხელისუფლებისაც. ვკითხულობთ, ვითმენთ და.. ვინულებთ. დროა ამაზედაც ვიზრუნოთ და ვიკითხოთ: აქვთ თუ არა ასეთი ქართულის ავტორებს უფლება ლიტერატორის სახელი დაირქვან? პასუხიც ცხადია: არასოდეს! რა ბედენაა ორგანიზაციული ყოფნა მწერლობაში! მწერალი კულტურულად უნდა შევიდეს მწერალთა ოჯახში და ისტორიაშიც და თუ გენიალობით არა, კარგი ქართულით მაინც დარჩეს იქ რამდენიმე წელიწადს.

უმეცარს, უდიპლომო ექიმს და მკითხავს აკრძალული აქვთ ხალხის სხეულის მოწამვლა. დროა უმეცარ მწერლებსაც ავალებინოთ ხელი ხალხის მეტყველების მოშხამვაზე.

ერთმანეთის დანდობას და ზედმეტ თავაზიანობას ვნების მეტი არა მოაქვს რა. არც მე ვინდობ და ნურც მე დამინდობენ. უცოდველობას ნურავინ დაიჩემებს. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ზოგ მწერალს ერთ თაბახში ხუთიოდე შეცდომას ძლივს უპოვით და ზოგს კი ასზე მეტი აღმოაჩნდება.

უკანასკნელ ხანებში ზოგმა მწერალმა ქართულში, სამწუხაროდ, უცხო ენის ბუნება გადმოიტანა. მისი ნათქვამი დანისლა, ლექსიკოლოგიურად გაალარიბა. ჩვენი სინტაქსი დაამახინჯა და სალიტერატურო ... ერთმანეთს დააშორა. ქართულს ეკარგება მკვიდრობა, მოქნილობა და გამჭვირვალება, ასის გამო ჩვენი ენის ბუნების ასეთი ამღვრევა ულიდეს ხიფათს უქადის ჩვენს მწერლობას. ამიტომ ჩვენი მამართლება დაუხლოებელ ბრძოლას უცხადებს ქართული ენის გადამგვარებელ ძალებს. ამავე დროს ჩვენ ვერც არქაისტულ ფორმებს გავყვებით. თუ ამას მხატვრული სტილიზაცია არ მოითხოვს და უპირატესობას ყოველთვის ხალხურ თქმას მივანიჭებთ.

ქართულ ლიტერატურულ ენას მრავალის მხრიდან მოელის ხიფათი. ენის ნაჭარბევი სიწმინდე - პურიზმი და არქაიზმიც ენის ბუნებრივ განვითარებას აფერხებს. მეორე მხრით მეტად ადვილად და უხვად შემოდის ბარბარიზმი- ხალხისთვის გაუგებარი უცხო სიტყვები. ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ისეთი უცხო სიტყვა, რომელმაც ან უკვე მოიკიდა ფეხი საერთაშორისო არეზე, ან თუ მისი თანაბარი შესაფერი ქართული სიტყვა არ მოგვეპოვება, ან კიდევ თუ მოგვეპოვება, იგი სამუდამოდ მკვდარი არ არის.



უცხო სიტყვების შემოდება განსაზღვრულ მიჯნამდე ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ შემდეგ, თუ წყარო ნიაღვრად გადაიქცა, ენა წაილეკება და დაღლება. ასეთი რეალური ხიფათი მოელის ქართულსაც. თუ მოვარდნილ ნიაღვარს ენლავე მტკიცე ჯებირებს არ დავუხვედრებთ.

მეცნიერებასა და ტექნიკას ათასობით სჭირდებათ სპეციალური ტერმინები, რომელთაც დიდი ხანია აჭრელეს სხვათა ენები და ამჟამად ქართულსაც აჭრელებენ. ამ სიტყვების მოზრდილი ნაწილი უცხო ბგერათა სისტემებს ეკუთვნის, ამიტომ უცხო სიტყვა მუდამ არ ეგუება ქართულს. და რაც მოსათმენია ტექნიკოსისათვის, ზოგჯერ ყოვლად აუტანელია სიტყვის ხელოვანისათვის. მაინც ორივეს უაღრესი სიფრთხილე მართებს, უფრო მეტად კი პოეტს და ჟურნალისტს, რადგან მათი სიტყვა გაცილებით უფრო მჟღერია და ხმოვანი. მეცნიერული ტერმინის შეცვლა ადვილია, ხალხის ტვინში ჩაჭედილი სიტყვის ამოგდება კი მეტისმეტად ძნელია.

აი ამ ზღვა სიტყვას სჭირდება შერჩევა და ამ შერჩევას ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები უნდა დაედოს:

1. უცხო სიტყვა უეჭველად უნდა ითარგმნოს, თუ შესაფერი ქართული სიტყვა მოიპოვება.

2. თუ არ მოგვეპოვება, იგი უნდა მოგონილ იქნეს ნათესაური სიტყვის წარმოებით, და არა აბსტრაქტულად, არა მექანიკურად.

3. დანარჩენ სიტყვებს კარი უნდა გაეხსნას, თუ ისინი ეგუებიან ქართულის ბუნებას, და

4. თუ რომელიმე საერთაშორისო სიტყვა ჩვენი ენის ბუნებას არ ეგუება, სჯობია რომელიმე სხვა ენისგან ვისესხოთ იგი (აბსოლუტურად საერთაშორისო სიტყვები თითქმის არ არსებობს), ვიდრე ქართულის ბუნება ავამღვრიოთ. ამ გზით მიდიოდა და დღესაც ამავე გზით მიდის რუსულის განვითარებაც: ზოგ სიტყვას ფრანგულისგან სესხულობს, ზოგს - გერმანულისგან და ზოგსაც სხვა რომელიმე ენისგან.

1840 წლის 9 ივნისს ზემოიმერეთში, სხვიტორში, როსტომ წერეთლის ოჯახში ვაჟი დაიბადა... 1840 წელი საქართველოს ისტორიაში ამ ფაქტითაც შევიდა!..

„ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია...", ამბობდა აკაკი, როცა სხვისი ღვაწლის წინ წამოწევა სურდა... არადა იცოდნენ მისი ფასი მისმა თანამედროვეებმა; იცოდნენ და სიყვარულს გულწრფელად უმჟღავნებდნენ. ორიოდე საიუბილეო მისალოც წერილს გთავაზობთ...



# სულმნათი

## წერილი ალექსანდროპოლიდან

პატარა ერის დიდო და დიდებულო სულმნათო აკაკი!

ამ ორმოცდა ათის წლის წინათ ქართულ მწერლობის ასპარეზს დანათებდენ მცირენი და დიდნი ვარსკვლავები... მზე კი ჯერ არ ამოსულიყო...

ეს მზე დასავლეთით, სამხერის მთების მწვერვალებიდან ამობრწყინდი, და მას აქეთ დანათებ ქართველ ერს, ქართული გულის ნუგეშო, ქართული მწერლობის დიდებავ, ქართული კალმის შვენებავ, აკაკით წოდებულო მზეო-სულმნათო!

აწ შენი სახელი ყველა თემების ქართველების ერთ ქართველობათ შემკრები ძალაა...

შენი მადლიანი ჩანგის მაღალ-კაცობრიული ჰანგები ქართველი ერის სხვა ერებთან შემაერთებელი ხიდია...

ამ ხიდით მოვიდენ დღეს აქ ჩვენი გაუკრულნი და გამოლევიძებულნი მეზობელნი - ერნი,- შენდა პატივსაცემლათ და ჩვენდა მხარის დასამშვენებლათ.

სულმნათო, დღემდის გვაშვენებდი შენი ნიჭით, დღეს იმავ ნიჭმა დაგვაშვენა მეზობლებითაც.

სულმნათო, იცოცხლე ჩვენს შორის შენი ნატვრის ასრულებამდე, დროთა სრბოლაში უკვდავო შენი ნიჭის ნათესით.

გაგიმარჯვდა აკაკი!

შენს გამარჯვებას მრავალჟამიერ!

შენი ნიჭის ერთი თაყვანისმცემელთაგანი

ილია ჭყონია

*1 დეკემბერს 1908 წ.*
*ქალაქი ალექსანდროპოლი.*

*წერილი მოგვაწოდა ა. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ლუკა დვალიშვილმა*

*1908 წლის 7 დეკემბერს მოწყობილმა აკაკის გრანდიოზული საიუბილეო ზეიმის რეზონანსმა გადალახა გეოგრაფიული საზღვრები და გლობალური ხასიათი მიიღო. სადღესასწაულო ექო შეიჭრა არამარტო მეზობელ კავკასიელთა რეგიონებში, არამედ მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებშიც ფართოდ შეაღო კარები.*

*ვინც პერსონალურად ვერ შეძლო საიუბილეო საღამოზე დასწრება, მან მისასალმებელი ადრესი გაუგზავნა მგოსანს და ამით გამოხატა თავისი ზნეობრივი თანადგომა.*

*საიუბილეო ადრესების ციკლიდან, მაღალი პოლიტიკური ტენდენციებითა და ჭეშმარიტი ეროვნული იდეალებით ყურადღებას იქცევს თავისუფლების მზესა და ჰაერს დანატრებული ქუთაისის ციხის კედლებში იზოლირებული და რეპრესირებული თაყვანისმცემლები პოეტისა.*

შოთა ბარამიძე

*აი ეს ადრესი:*

## ადრესი ქუთაისის ციხიდან

საყვარელო მამულიშვილო აკაკი!

ძველმა დესპოტიზმმა ახალი რეჟიმის სახელწოდებით შეიპყრა ყოველ მხრივ ქართული პოეზია, ხელოვნება და ეროვნება: მან გაანადგურა საქართველოს ეროვნული ტაძრები, ეროვნული სწავლა-განათლება და სხვადასხვა. მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში იმის ცდაშია, რომ მოსპოს ქართული ეროვნება და ღვთის თავდადებულ მამულიშვილთ ყველგანაა დევნიდა, და აი, უკვე მისმა ცდამაც ნაყოფი გამოიღო: დაბადა ერთი ქართველებში ნაძირალები, წარმოიშვნენ ზნედაცემულნი ადამიანნი, თავიანთი სამშობლოს უარმყოფელნი: მათ შეაჩვენეს ჩვენი დედაენა, პოეზია შეაჩვენეს ჩვენი პოეტების მიერ. სამასხროდ აიღეს ჩვენი დიდი, საამაყო წარსული. სდევნეს და სდევნეს სიყვარული სამშობლოსადმი, ქართული ენისადმი, ქართველი პოეტებისადმი.

მოვიდნენ ჩვენი დღეები. ჩვენი აღმოჩენილი მგოსანი იყო. მაგრამ ამაოდ. დიდი ხმა მისი გაისმის საქართველოს ყველა კუთხეში და მთელ განათლებულ ქვეყნებშიც!

ქართველო, იცოდე, რომ შენ ხარ ადამიანი! იცოდე, რომ შენ გადევს კისერზე უღელი ძველი დესპოტური სახელმწიფოსი! იცოდე, რომ შენს ზურგზე ხის ერთის მხრივ სახელმწიფოს ჯალათები თავიანთი ინკვიზიციით, მეორეს მხრით, მოღალატე-უზრდელთა ხროვა, რომელიც ფლანგავს შენი ნათლოლარით! ქართველო, იცოდე, რომ შენ გადევს ბორკილი, რომელზედაც აწერია: „მონა ხარ სხვისა!"

ქართველო, იცოდე, რომ შენ პირზე და ენაზე ბორკილი გადევს ზედწარწერით: „უარჰყავ შენი ქართველობა, შენი დედაენა". იცოდე, რომ შენ დამნაშავე ხარ ისტორიის წინაშე: მოკლული თავისუფლებისა და სიყვარულის მქადაგებელი, შენი აღმზრდელი იყო.

იცოდე, რომ დღეს შესრულდა ნახევარი საუკუნე დიდებული ლიტერატურული მოღვაწეობისა ჩვენი საყვარელი მგოსნის აკაკისა! ნახევარი საუკუნე, რომლის განმავლობაში მან მთელი თავისი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარა ქართველ ერს და საზოგადოებრივ კეთილდღეობას!

ნახევარი საუკუნე, რომლის განმავლობაში ის მკვეთრად ებრძოდა და ებრძვის მტერ ძალებს; ნახევარი საუკუნე, რომლის განმავლობაში ის იბრძოდა ქართული ლიტერატურისა და ენის აღსადგენად! ნახევარი საუკუნე, რომლის განმავლობაში მან დაგვიხატა ჩვენი დიადი წარსული, აწმყო-მერმისი თავისი [illegible].

მაშ, ქართველო, მიმოიხედე გარშემო! ერთად გამოვიდეთ დღეს და დავინახოთ საჭირო მზერით, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენი ნაციონალური პოეზიისა და კულტურის ასაღორძინებლად! ერთად აღვმართოთ დროშა ზედწარწერით: „გაუმარჯოს პოეზიას და ხელოვნებას და გაუმარჯოს ჩვენს ნაციონალურ სხივოსან ვარსკვლავს, უკვდავ მგოსანს და მამულიშვილ აკაკის!"

და ჩვენც, ამ ბნელ საკანში ცოცხლად დასამარებული ერთი ჯგუფი ქართველთა ახალგაზრდობისა, სულით და გულით ვუერთდებით ივერიის შვილთა დიად დღესასწაულს, გვწამს ძლევამოსილი „გალიაში მყოფ სატრფოს" მომავალი, რომელსაც „შეურისხებს უპირებს გაიძვერა მოყვარე".

აღფრთოვანებით მოგილოცავთ ნახევარი საუკუნის ბრწყინვალე მოღვაწეობას ლიტერატურის ასპარეზზე. „ჩვენო დიდო მგოსანო, ერის დიდებავ, ადამიანის გულში თავისუფლების სიყვარულის მთესველო, ტანჯულ-შეზღუდულ ადამიანთა ტკივილების გამომხატველო, ჩვენი სამშობლოს მრავალტანჯული ბულბულო, მებრძოლო ძმობის, სიმართლის, თავისუფლების და თანასწორობისათვის. ჩვენო უკვდავო პოეტო აკაკი! ლაღო მგოსანო! გამოიღვიძა შენმა „სატრფომ". წინ მიუძღვის ქართველი ერი, რომ დაეწაფოს იმას, რის უმისოდ ადამიანის ცხოვრება მხოლოდ-და ტანჯვა-წამებაა! მაშ, გაუმარჯოს შენს ძლევამოსილ, მადლიან ხმას-„კალამს", გვწამს, რომ:

„ცოცხალ მინაზე უჩუქებს[?]
თავისუფლების ძებნაში მეყვარი!

ისევ სავსე შთამომავლობას
ბნელს გაუნათებს, როგორც ლამპარი".

ნ. ჯავარშიშვილი, ა. შინჯელია,
ზ. ხუნდაძე.

შენიშვნა: გთხოვთ წაიკითხოთ ვინმეს აკაკის საღამოზე.

# ქეთევან ლომთათიძე

# მოგონება სიმონ ჯანაშიაზე

მე მხვდა წილად ბედნიერება ვყოფილიყავი ახლობელი ბატონი სიმონისა. იგი იყო ფართო პროფილის (ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება) დიდი მეცნიერი. იგი ადამიანებთან ურთიერთობაში მეტად თავისებური იყო. უცნობად თავშეკავებული, აუღელვებელი და სიტყვაძუნწი. შეიძლებოდა ვინმე მიუწვდომელ-მიუკარებლად მოსჩვენებოდა. მაგრამ სინამდვილეში იგი უცნობად უბრალო და უშუალო იყო. მისი ეს თვისებები ძალზე შესამჩნევი იყო ჩვენთვის - მისი ასპირანტებისათვის, მოწაფეებისათვის. იგი ძმურად უბრალო და ამხანაგური იყო ახალგაზრდებთან, ისეთ ასაკშიც იყო, თავს უტოლებდა, მოწაფეებითა და პატივისცემით მოეპყრობოდა ახალგაზრდას, რომლის ბიოგრაფია ჯერ მხოლოდ სახელისა და გვარის მეტს არაფერს შეიცავდა, რომ ამ ახალგაზრდას საკუთარი თავის ღირსების გრძნობა ეუფლებოდა და ერთგვარი პიროვნული შესაძლებლობა უჩნდებოდა. მიუხედავად ამისა, მასთან ურთიერთობა არასდროს იღებდა ფამილარულ ხასიათს, დისტანცია ყოველთვის რჩებოდა. მისდამი პატივისცემაც თანდათან მატულობდა. ქვეყანაში ბატონი სიმონის [illegible] ნიჭიერი ხომ უმალვე ზღვარს აღწევდა. ამ მხრივაც იგი სანიმუშო და მისაბაძი იყო (რამდენად შეეფერება ეს თვისებები მისსავე მრავალრიცხოვან სხვადასხვა პროფილის მოწაფეებს, ეს სხვა საქმეა).

ერთი ცხადია: მისი ფართო პროფილი შესანიშნავად მოერგო წინა აკადემიის (მაშინ ფილიალის) სისტემაში დაარსებული ენიმკ-ის საქმიანობას. აქ გაიშალა ფართო პუბლიკატორული დარგის გაღრმავებული კვლევა-ძიება, წყაროების თავმოყრა. ახალი ცვლის მომზადება ხომ მისი ძირითადი მიზანი იყო. მიუხედავად დიდი დატვირთულობისა უშუალოდ ისტორიის საკითხებით, ქართული მეცნიერების ორგანიზაციული საქმიანობით და, რაც მთავარია, მეტად სასახელო სიტყვიერების პირობებში, ს. ჯანაშიამ ქართულ ენათმეცნიერებაშიც საკმაოდ თვალსაჩინო კვალი გაავლო - ერთი მეცნიერის სიტყვით თამამად დასტურდება მის ამ დარგში სამოღვაწეოს. მის თვისი კვლევა და ზრუნვის საგნად ქცეულა ქართული სხვადასხვა ხასიათის ენობრივი საკითხები - დაწყებული მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობით და დამთავრებული ქართველური ენათმეცნიერების არაერთი თეორიული საკვანძო საკითხის კვლევით. სხვა ცნობილ ქართველ ენათმეცნიერთა გვერდით ს. ჯანაშია დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისა და მათი დანერგვის საქმეს. ამ საკითხზე მის მიერ დამუშავებული არა ერთი და ორი გამოკვლევა-პროექტი დღეს უკვე დამკვიდრებულად ითვლება. მისი აზრით, სალიტერატურო ენა უნდა ეყრდნობოდეს პირველ რიგში ქართულ კლასიკურ მწერლობას. ამავე დროს გონივრულად უნდა იქნეს გამოყენებული [illegible] ქართული ლიტერატურა და ძველი ქართული მწერლობა [illegible]. აქ მის გონებამახვილურად მოჰყავს გიორგი მერჩულის სიტყვები: „[illegible]". ს. ჯანაშია იყო ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი [illegible] - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა, რომელიც რვა ტომადაა გამოსული არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით. ს. ჯანაშია ითვლება ჩვენში იბერიულ-კავკასიური ენათა აფხაზურ-ადიღური ჯგუფის მეცნიერული შესწავლის პიონერადაც და თვით ამ დარგის ფუძემდებლად. მისსავე სახელთან არის დაკავშირებული სათანადო სპეციალისტების მომზადებაც. ბევრი ნიჭიერთაგანი დიდად არის ამ მხრივ მისგან დავალებული.

ბატონი სიმონი თავიდანვე ჯანმრთელობას „უჩიოდა": ეს ხშირ ქრონიკულად დაღლილი ავადმყოფობა არ მაძლევს მუშაობის საშუალებასო. მას დღის მეორე ნახევარში აღარ შეეძლო აქტიური მუშაობა, კვლევა-ძიების გაგრძელება და ამიტომ ასპირანტებთან საკონსულტაციოდ სწორედ ამ დროს იღებდა. მეც სამეცადინოდ მასთან ბინაზე დავდიოდი საღამოს საათებში (იქვე ახლოს ვცხოვრობდი). ერთხელ ვსხედვართ, ბ-ნი სიმონი და მე, ვარჩევთ მისსავე ნაწერილ აფხაზურ ტექსტებს. ოთახში ქ-ნი მართა შემოდის რაღაცის გასარკვევად. მე ამ დროს ვკითხულობ აფხაზურ ფრაზას. უცებ ქ-ნმა მართამ, მისთვის ჩვეული უშუალობით მოგვმართა: „იცით, რა გითხრათ, არაფერი საერთო აფხაზურსა და ქართულს ნამდვილად არა აქვს"-ო. ბ-ნმა სიმონმა დინჯად უპასუხა: „მართა, რატომ კისრულობ პასუხისმგებლობასო?!" ხუმრობანარევი იყო და. ბ-ნი სიმონის ეს შენიშვნა არ აწყენდა დღეს ზოგიერთს, ვისაც ფიქრიც კი არ შეუძლია და ისე „აფრქვევს" უმეცრებას.

ბ-ნ სიმონს მოწინააღმდეგეებისათვის პასუხის გაცემა ვერ წარმოედგინა (საკმაოდ ცნობილია მისი პოლემიკური გამოსვლები). მაგრამ შეინიშნებოდა, თუმცა ხშირად გაუმართლებელი თავდასხმების გამო, მას მხრივ გამოწვეული იყო. მახსოვს, რა მიზანმიმართულად ესხმოდა მას თავს ე.წ. „მარქსისტული" პოზიციებიდან [illegible]. მაგრამ მისი [illegible] და [illegible], ბ-ნმა სიმონმა თანმიმდევრულად დაიცვა და [illegible] ხელი შეუწყო მის მეცნიერულ წინსვლას.

1940 წ. ჩვენი აკადემიის ფილია-



ლის გამხელელი ხერხი გაიმართა ქ. ხონში. ბ-ნ ხიმიანს მოხსენება ჰქონდა საქართველოს ისტორიის რომელიღაც საკითხზე. მოხსენების შემდეგ დარბაზიდან წამოდგა ყმაწვილი კაცი (სტუდენტი) და თავს დაესხა მომხსენებლის მოსაზრებებს. ბ-ნმა ხიმიანმა მშვიდად უპასუხა როგორც სწორმა სწორს. მერე, შეხვედრის დამთავრების შემდეგ გვითხრა: „მე ვერ გავიზიარებ მის მოსაზრებას, მაგრამ ეს ყმაწვილი ნიჭიერი და დაინტერესებული ჩანს და ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ, გაიღრმავოს ცოდნა"-ო. და იმის შემდეგ ასპირანტურაში მიიღო. ეს ახალგაზრდა შემდეგში ცნობილი მეცნიერი ზურაბ ანჩაბაძე.

ქართული წიგნი ე.წ. დახურული სპეციის ჯგუფში შემოვიდა სასტიკად საიდუმლოდ გარდაქმნებული ... ბ-ნ ხიმიანს. ყოველი მეცნიერების წინაშე წარდგა თავისი მოწყობით სათანადო პირებთან სიმძიმე ხელშეწყობას. მეცნიერების პროცესში ინტერეს დაინტერესების, თუ რა პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, თავგანწირვით ყოველგვარ მატერიალურ გარიგებების საშუალების შესაბამისად.

დაინახავს, მაშინ დაბრუნდით"-ო. ამის შემდეგ მან დაუსახელა ადილელ (ნურფუ) ინტელიგენტთა სახელები წარმომადგენლები. ისინი ყოველმხრივ დაეხმარებოდნენ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა: „არავითარ შემთხვევაში თქვენ ისინი არ მოიკითხოთ, ვინ იცის, ისინიც დაპატიმრებულები არიან, თუ ისინი მშვიდობით არიან, თვითონ მოვლენიან და თქვენს მუშაობაში



ხელს შეგიწყობენ". რა თქმა უნდა, რიგავას ადგილობრივი ნურფუხელი ინტელიგენცია დაპატიმრებული დახვდა. მუშაობას მაინც ცდილობდა, თუმცა შინაურები და ახლობლების არავინ ეხმარა (მათ უშიშს, რომ მათაც მელოდნენ პატიმარი). გიორგის გადაუწყვეტია: ზღვის სანაპიროზე რომ მოვხვდი, ვერ რაიმე ამბავი გავიგო იქ ნამოსახლართაგანი, და წასულა ბათუმში. იქ მარილიც შეხვედრია შოთა ძიძიგური და უკითხავს მისთვის, რა მდგომარეობაა? იმისაც უპასუხნია: „სოციალის შეხვედრა კაცი ვლიპარიტი და ღიღლის გიორგი, რომ ეჰ დაპატიმრებულია"-ო. გ. რიგავამ ხანგრძლივი რომ ვერა გაიგო რა, ისევ მეცნიერება გააგრძელა, ასე დაღუპულა იგი ადილელ ენას.

1939 წლის ზამთარში მე აპიზურ ენაზე სამუშაოდ გავემგზავრე ყარაჩაი-ჩერქეზეთში. სამხარეულოების დაწესებულებაში მომაწყო ახლოსულანი ... შემეკრიბა ... ოჯახი ...

დროზე ეს ოჯახი „განუკითხავები" თავის სახლში მათ მხოლოდ ქვემოთ მიწურში, ერთ ოთახი ეკირათ, რომლიც საცხენით ვარგული იყო. ქვემობის გასწვრივ საწოლად მოქცეული ფიცრები („ნაჭრების" ტიპისა) ეწყოთ. უქცევენელი. იქვე მხრი შეკვეთებელი ამ პირობებს. ხამელივებო თანხით დაიახლოებით ცდილობდა, რაც შეეძლო, არაფერი დაეკლო. ბავშვები სკოლის არ ეკარებოდნენ, სტუმრის ელოდნენ. ქამის ყოველ ჯერზე იწყებოდა ჩვენი დავა და ურთიერთშეკვეთება. ასეთ მძიმე პირობებში ვარ უკვე ორი კვირა. უცებ ფანჯარასთან გამოჩნდა ნაცნობი სახე. ეს იყო გ. რიგავა, რომელიც ნამოსახლელ კავკასიელ ენაზე სამუშაოდ თითქოს იგრძნობა, ბ-ნ ხიმიანის მისთვის ჩვენთან დაკავშირება დაევალებინა: მოინახულე, შეამოწმე, რა პირობებში უწევს მუშაობაო. მივიდა და რა ნახა? მარწმუნებდა, გადავიხვეწე ჩერქეზეთში. მე უარზე ვიდექი. ბავშვებმა რაღაც იგრძნეს და მოროვს ტიროდნენ. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე.

პირობებში რომ დავტოვე იგი უცხოობა არ გამიცალა. ბ-ნ ხიმიანს რა პირით უნდა შევხვდე? მეც იმ ლეგენდარული ვულკანის დადგინებულ გიორგის, რამდენიმე დღეში ჩერქეზეთში სახელურობაში მომაყვა მასპინძელი ოჯახი დატოვებული კალთებით.

დაბოლოს, მინდა გავიხსენო ასეთი ფაქტი. ცნობილმა ნეგროლოგოსმა პეტრე სარაჯიშვილმა გიორგის (რიგავას) და მე გვითხრა: „ვიცი რა თქვენი დამოკიდებულება ბ-ნ იუხანესა და ბ-ნ ხიმიანის, ერთი სადღეგრძელო უნდა გავამართოთ. იმ რიგში ჯვარებაში (იუელოსხმულები ივ. ჯავახიშვილის „დამუშავება"), როცა ბ-ნი ხიმინი ცხელად გახდა, მე მესწვია ბ-ნი იყნე და მითხრა: ჩვენი ლოცვა იმაზე, რომ ხიმინი გადაარჩინონ"-ო.

ეს ფაქტი პირველ ყოველისა ბ-ნი ივანეს კეთილშობილების მოწმობალია, მაგრამ იმაზეც მოგვითხრობს, თუ რას ნიშნავდა მისთვის ბატონი ხიმინი.

1999 წლის 20 დეკემბერი

## ავთანდილ არაბული

# მეცნიერი და მასწავლებელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70-იანი წლების სტუდენტობას ძირითადი პროფესურა ივანე ქავთარაძის თაობის სახით დაგვხვდა. ისინი უშუალო მოწაფეები იყვნენ უნივერსიტეტის დიდი პატრიარქებისა - აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიასი - და მათი მეცნიერების მაღალი და ნათელი მოაქონდათ აუდიტორიებსა და კათედრა-კაბინეტებში. მართლაც სამაგალითო იყო, ერთი მხრივ, მათი მოწიწება და პატივისცემა თავიანთი მასწავლებლების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მათი მზრუნველი და გულშემატკივრული დამოკიდებულება ყოველი სტუდენტისადმი, მომთმენი და, ამავე დროს, პრინციპული მოპყრობა ყოველთვის ბობოქარ და მაქსიმალისტ ახალგაზრდობასთან. ისინი ჩვენს მეხსიერებაში აღიბეჭდნენ როგორც სიბრძნის ზღვარს მიღწეულნი, მშვიდი და მუდამ აუჩქარებელი, შინაგანად გაწონასწორებული ჭაღარა მოხუცები. თუმცა ამ დროისათვის, თურმე, ისინი ორმოცდაათიოდე წლის (სულხან-საბას ზუსტი დეფინიციით) „სრული კაცნი" იყვნენ, „მიღწეულნი სიბრძნესა მას მოძღვრისასა".

ამჟამინდელ ყველაფერი შეცვლებითა და იმპროვიზებული სტუდენტები, დღევანდელს ფონზე, სწავლისა და განვითარების პირობებს ნაკლებად ვერ დავემდურებით და ამაში, უპირველესად, აღნიშნული პედაგოგიური გარემო იგულისხმება. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების ყურადღებით და გულისხმიერებით მართლაც განებივრებული ვიყავით ყველანი ერთნაირად - ტალანტიანნიც და უტალანტონიც, ნებიერნიც და ბედუკუღმართნიც. მათი პრინციპულად მიუკერძოებელი დამოკიდებულებით, ოღონდ მეორე დაინტერესება და მონდომება გამოეჩინა, შეუმჩნეველი და წაუხალისებელი ნამდვილად არ დარჩებოდა. აუდიტორიებსა თუ დერეფნებში, განსაკუთრებით - სტუდენტთა სამეცნიერო წრეზე. მათი მუდმივი ყურადღება წარმართავდა ახალგაზრდობის სამეცნიერო-შემოქმედებით სწრაფვას და ინტერესებს. თითქოს არასოდეს არსად ეჩქარებოდათ, თითქოს ყოველდღიური, ცხოვრებისეული არასოდეს არაფერი აწუხებდათ, ისინი მთელი თავიანთი არსებით, საკუთარი ოჯახებითაც კი, იყვნენ ჩართულნი საუნივერსიტეტო, სამეცნიერო და პედაგოგიურ ცხოვრებაში...

მეცნიერ-პედაგოგთა ამ პლეადის ღირსეული წარმომადგენელი იყო ივანე ქავთარაძე - ერთი ნიჭებული გამომხატველი იმ ტრადიციებისა, იმ მეცნიერებისა, რასაც ქართული უნივერსიტეტმა დაუდო სათავე.

ივანე იოსების ძე ქავთარაძე დაიბადა ოთხმოცი წლის წინ - 1920 წლის 8 მაისს - ზესტაფონის რაიონის სოფ. ცხრაწყაროში. იგი 1937 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც სწორედ იმ დროისათვის დაამთავრა, როდესაც მეორე მსოფლიო ომი ახალი დაწყებული იყო. ამ დროს ყველა, დიდი-პატარა, ფრონტზე თუ ზურგში, ომში იყო ჩაბმული და გამარჯვების შეტანასაც მთელი ქვეყანა „იბრძოდა". 1946 წელს ივანე ქავთარაძესაც მიენიჭა მედალი „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წწ. დიდი სამამულო ომის პერიოდში".

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ივანე ქავთარაძე პროფესიული თვალსაზრისით მართლაც არ ყოფილა უქმად. მას სერიოზული ნაბიჯები გადაუდგამს ენათმეცნიერების სარბიელზე დასამკვიდრებლად. ამის დასტურია ახალგაზრდა მეცნიერის საკანდიდატო ნაშრომი „დეტერმინატური ზმნები ძველ ქართულში", რომელიც მან სწორედ 1945 წლის ბოლოს ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვა წარმატებით.

არაწესიერი, ანუ კატეგორიანაკლული ზმნების ბუნება ერთი რთული და საინტერესო საკითხია ქართული ზმნის ფორმაწარმოებისა, რამდენადაც უწინარესად სწორედ ასეთი ზმნები ინახავს იმ არქაულ ნიშნებს, რაც ზმნური კატეგორიების ჩამოყალიბების საფუძველში არის საგულვებელი. ამგვარი ზმნების სრულყოფილი ანალიზი მთელი ქართული წერილობითი წყაროების, დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებას, არცთუ იშვიათად კი შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციის მეთოდების გამოყენებასაც მოითხოვს და, ბუნებრივია, ახალგაზრდა, დამწყები მეცნიერისათვის ამგვარი ამოცანის მინდობა ხელმძღვანელის მხრიდან მისი მეცნიერული შესაძლებლობებისადმი დამოკიდებულებას თავისთავად გამოხატავს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ივ. ქავთარაძე ამ პრობლემას დისერტაციის დაცვის შემდეგომაც თითქმის ათი წლის განმავლობაში ამუშავებდა და მონოგრაფიულად მხოლოდ 1954 წელს გამოაქვეყნა სათაურით „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში". ეს ნაშრომი საპატიოდ წარმოაჩენს ქართულ ენათმეცნიერულ მეცნიერებას და ნებისმიერი ქართველოლოგის სამაგიდო წიგნთა რიგში დგას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ზმნა, მისი სტრუქტურის

და ისტორიის საკითხებში მეცნიერის გამორჩეული ინტერესის საგანს წარმოადგენდა და მათ არაერთი საინტერესო წერილიც მიუძღვნა.

მეორე ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც მეცნიერს თითქმის ამავე დროიდან (1946 წლიდან) წამოუწყია, არის მონოგრაფია ქართული ენის ისტორიული ფონეტიკის შესახებ - „ქართული ენის ისტორიისათვის. XII-XVIII სს. I" (თბ. 1964 წ.). ამ ნაშრომში დიდძალი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე წარმოჩენილია ვრცელი ის ფონეტიკური პროცესი, რაც ქართული ენის განვითარების პროცესში იჩენდა თავს. შესაბამის მასალასა და დასკვნებს, გარდა უშუალოდ ფონეტიკური პრობლემატიკისა, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამავე ისტორიული მორფოლოგიის, მორფონოლოგიის, ლექსიკოლოგია-ეტიმოლოგიის საკითხთა შესწავლის თვალსაზრისით.

როგორც ამ მონოგრაფიებიდან ჩანს, მკვლევარს მიზნად დაუსახავს ქართული ენის ისტორიის ყოველმხრივ შესწავლა და ამ გეგმის განსახორციელებლად, როგორც მეცნიერული კვლევის კლასიკურ მეთოდოლოგიაზე აღზრდილსა და ევროპული ერუდიციის მკვლევარს, მართლაც კოლოსალური სამუშაო შეუსრულებია.

ამავე დროს, მეცნიერი იქვე მიანიშნებდა, რომ ქართველურ ენების ამგვარი კვლევის მნიშვნელოვანი მონაცემების მოწოდება შეეძლო ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც.

ხშირად დიალექტოლოგია - როგორც აღწერითი, ისე ისტორიული - არის ის მნიშვნელოვანი უბანი, რომელსაც ამავე განსაკუთრებით დაუკავშირდა ივ. ქავთარაძის სახელი. ცნობილია, შემთხვევით არ არის ის ამბავი, რომ ხშირად ივ. ქავთარაძისა და ივ. გიგინეიშვილის დაკისრა ხელმძღვანელობა აკად. ვ. თოფურიამ მასთან ერთად შეადგინეს ქართული ენის ყველა დიალექტის ტექსტების აკადემიური კორპუსი. ეს ფუნდამენტური ტომი, ყველა დიალექტის რჩეული ტექსტებით, მიმოხილვებითა და ლექსიკონით, ახლაც ავსებს ქართული ფილოლოგიის ოქროს ფონდს.

ივ. ქავთარაძის არაერთი ნაშრო-



მი ეკუთვნის ზოგადი და ისტორიული დიალექტოლოგიის, კონკრეტული დიალექტების, დიალექტური ლექსიკის შესწავლის სფეროში. იგი კრებდა და აქვეყნებდა იშვიათ დიალექტურ მასალას, სწავლობდა ამ დიალექტის აგებულებისა და ისტორიის საკითხებს; თუმცა, განსაკუთრებული წვლილი მას მაინც მესხური კილოს შესწავლაში მიუძღვის. მისი მეცნიერული ინტერესი ხანგრძლივად დაუკავშირდა ამ დიალექტს: როგორც თვითონ აღნიშნავს, ლექსიკის შეგროვება 1948 წლიდან დაუწყია; იგი ხალისით დაეხეტებოდა და შეეცდება ამ კუთხის ინტელიგენციას, უბრალო ხალხს, ყაზბეგის ცოცხალ გმირებს, და არაერთი ექსპედიცია-მივლინების დროს საფუძვლიანად შეისწავლა ეს დიალექტი. მისი მონოგრაფია - „ქართული ენის მესხური დიალექტი (გამოკვლევა. ტექსტები. ლექსიკონი)" (1985 წ.) მეცნიერის ბოლო ნაშრომია და ის შესანიშნავად წარმოაჩენს ავტორის მეცნიერული ხედვარეულის საგანს.

ივ. ქავთარაძე ხანგრძლივად კითხულობდა უნივერსიტეტში დიალექტოლოგიის კურსს, ხელმძღვანელობდა მომავალ დიალექტოლოგთა პროფესიულ დაოსტატებას. მან გააგრძელა და უფრო რეგულარული გახადა დიალექტოლოგიური ექსპედიციების ტრადიცია, რომლის გარეშე დიალექტოლოგიის არსებობა წარმოუდგენელია. ამ პრაქტიკულ და მეთოდურ მოთხოვნებს უპასუხებდა მისი რამდენიმე პროგრამა თუ თეორიული წერილი დიალექტოლოგიური ტექსტების მოპოვების, მათი ფიქსაციის, გაფორმების, შესწავლის თვალსაზრისით. ივ. ქავთარაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ექსპედიციებს, აწესრიგებდა მოპოვებულ მასალებს, ხელმძღვანელობდა არაერთი საკანდიდატო დისერტაციისა თუ მონოგრაფიის დამუშავებას.

რაოდენ დიდი ინტერესითა და ენთუზიაზმით ეკიდებოდა მეცნიერი დიალექტების შესწავლის საქმეს, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ 60-იან წლებში ხშირად ივ. ქავთარაძემ წამოიწყო ფართო კამპანია „კუთხური სიტყვების" შესაგროვად: მან გაზ. „კომუნისტში" გამოაქვეყნა წერილი „უშრეტი საუნჯე" და შემდეგ სპეციალური რუბრიკა - „შეკრიბეთ ჩვენი კუთხის სიტყვები". მეცნიერის ამგვარი მიმართვა გამოეხმაურა ბორჯომის, თერჯოლის, ლაგოდეხის, აფხაზეთის, აჭარის... რეგიონულ გაზეთებმაც. ამ ინიციატივამ თავისი დადებითი როლი შეასრულა - გამოვლინდა არაერთი ახალი ლექსიკური ერთეული. თვით ივ. ქავთარაძე „მესხური ლექსიკონის" შესავალში აღნიშნავს, რომ მან ამ გზით მოპოვებული მასალითაც ისარგებ-

ლია. რაც მთავარია, ამით სწორი მიმართულება მიეცა ადგილობრივი ინტელიგენციის ენობრივ ინტერესებს, გააქტიურდა მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებისა თუ შემკრებლობითი საქმით.

უნდა ითქვას, რომ მეცნიერის ფართო ინტერესები, ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და თანამედროვეობის, ხოლო მეორე მხრივ, დიალექტოლოგიის სფეროში განაპირობებდა იმ დიდ ყურადღებას, რაც მან დაუთმო კლასიკოსი მწერლების ენობრივი მეტყველების შესწავლას. ამგვარი კვლევის თვალსაჩინო ნიმუშია ივ. ქავთარაძის ნაშრომები: „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა“, „ილიას ქართული“, „ეგნატე ნინოშვილის ენის თავისებურებანი“, „მოხეური კილო ყაზბეგის ენაში“, „ალ. ჭავჭავაძის ენა“. ეს გამოკვლევები, ასევე გამოხატავენ მეცნიერის აქტიურ ინტერესს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემებისადმი, რასაც რამდენიმე სპეციალური წერილიც მიუძღვნა.

ივანე ქავთარაძე წინამორბედთა, მასწავლებელთა ამაგის კარგი დამფასებელი იყო როგორც საქმით, ისე კალმით სიტყვით. ამის დასტურია მისი წერილები ივ. ჯავახიშვილის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას მეტყველების შესახებ. ხოლო 1966 წელს ვ. თოფურიას ხსოვნას ორი გულწრფელი გამოსათხოვარი წერილი მიუძღვნა. ერთ-ერთს ერქვა „შეუცვლელი მასწავლებელი“ და მასში მასწავლებელზე ოცი წლით უმცროსი მოწაფე გლოვობდა მოძღვრის ნაადრევ აღსრულებას. ამ დროს ბატონი ივანე 46 წლის იყო, თვითონაც 19 წლის შემდეგ თითქმის იმავე ასაკში აღესრულა...

ივ. ქავთარაძე შესანიშნავი მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო. ბევრია დავალებული მისი მამაშვილური სითბოთი და ყურადღებით. მათ შორის - თქვენი მონა-მორჩილიც. ჩემი ინტერესების მიმართულება სწორედ მისმა (აგრეთვე - ივანე იმნაიშვილის, ირაკლი ქეშაპიძის...) გულისხმიერებამ განსაზღვრა, თვითონ იყო ხელმძღვანელი ჩემი საასპირანტო მუშაობისა, როგორც



ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე.

უნდა ითქვას, რომ იგი, მიუხედავად მისი მომთხოვნელობისა და ლმობიერებისა, საქმეში რბილი ხასიათისა, იყო ძალზე მკაცრი და მომთხოვნი მასწავლებელი; მისთვის ნიშანდობლივი იყო პუნქტუალური სიზუსტე და დაჟინება ამ საკითხში, რასაც დავალების შესრულება გულისხმობდა და ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლას - მოწაფის მიერ განხილულ შეხედულებათა განსაზღვრის თვალსაზრისით. მეტიც, ჩემი მახსოვს ვერ, რომ პედაგოგიის ეთიკისათვის უპირველესად საკუთარი ნაშრომების შესწავლა და დამუშავება დაევალებინა მოწაფეებს, იგი კი უმეტესად თავს არიდებდა საკუთარი ნაშრომების მითითებას, მით უფრო, ამ სფეროში თავისთავის დონის შემოწმებას. იგი იყო უხვად შემოფარგლული და დამჯახებული ახალგაზრდის კვლევითი შესაძლებლობებისა და კონკრეტული შეხედულებებისა. მაგრამ, ამავე დროს, ძალზე მომთხოვნი და შემწყნარებელი თვით მისი საწინააღმდეგო თვალსაზრისისაც კი. მან იცოდა ოდნავ შესამჩნევი, თხელი ღიმილი თვით საყვედურთა მხიარულების გარემოშიც კი და ახლაც ოდნავ შესამჩნევი ხანმოკლე გაბუტვა, რომელსაც უნებლიედ თუ ნებით წყენას მიაყენებდნენ...

ივ. ქავთარაძის პიროვნებას ამშვენებდა ქრისტიანული თავმდაბლობა ყველგან - სამსახურშიც, საზოგადოებაშიც და ოჯახშიც - და ყველასთან - უფროსთანაც და უმცროსთანაც. იგი ამ პრინციპით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მეცნიერის პირად საქმეში ერთი წერილი ინახება: 1981 წ. მას მოსკოვიდან - „მსოფლიო ენების“ მრავალტომეულისა და საბჭოთა ენციკლოპედიის ენისა და ლიტერატურის რედაქციებისაგან - პირადად მიუღია სტატიების შეკვეთა ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. ბატონი ივანე ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციას მიმართავს:

„მე მიმაჩნია, რომ ეს და ამგვარი საქმეები უნდა განაწილდეს და შესრულდეს ინსტიტუტის დირექციის შეხედულებისამებრ და მასთან შეთანხმებით, რისთვისაც აღნიშნულმა დაწესებულებებმა უნდა მიმართონ ენათმეცნიერების ინსტიტუტს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, ნება მიბოძოთ, ეს ვაცნობო აღნიშნულ რედაქციებს“.

ვფიქრობ, ეს ერთი მცირე, მაგრამ კარგი მაგალითია ჭეშმარიტი პასუხისმგებლობისა, პირადულზე წინ საზოგადო ინტერესების დაყენებისა და ის ნიშნეულად ახასიათებს ამ ჯურის ადამიანს.

მეცნიერის მემკვიდრეობა კი ძეგლივით გააგრძელებს მის მოღვაწეობას - მომავალი თაობების აღზრდის საქმეს.

განვაგრძობთ ბეჭდვას საქართველოს ტელევიზიის I არხით გადაცემული სიუჟეტების ტექსტისა, რომლის ავტორი არის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჯორბენაძე; კონსულტანტი - ამავე განყოფილების ხელმძღვანელი, დოც. შუქია აფრიდონიძე.




# სწორია

### კრეფს, წყვეტს...

ქართულში ბევრ ზმნაში ვხვდებით **ე** ხმოვანს. ზოგიერთ ფორმაში ეს **ე** უცვლელია ყველა დროში (წერს - დაწერს - დაწერა - დაუწერია). ზოგიერთ ფორმაში კი მას **ი** ხმოვანი ენაცვლება (წყვეტს - მოწყვიტა, გრეხს - დაგრიხა, ზელს - მოზილა).

ზოგიერთს იმ ზმნათაგან, რომლებსაც **ე** ხმოვანი უცვლელად აქვთ, თანამედროვე ქართულში - **ავ** დაბოლოება განუვითარდა. მაგალითად, გვქონდა **თესს** - ახლა გვაქვს **თესავს**; გვქონდა **რეცხს**, გვაქვს **რეცხავს** და ა.შ.

ამ ზმნათა ანალოგიით **-ავ** დაბოლოებას **ხშირად** ურთავენ ხმოვანმონაცვლე ფორმებსაც. ასე მივიღეთ არასწორი, მდარე მეტყველების ნიმუშები: საკითხს **ვწყვიტავთ**, ვაშლს **მოკბიჩავს**, ნომერს **აკრიფავს**, ცომს **ზილავს** და სხვა. ეს არასწორი ფორმები ძალზე გავრცელებულია ყოველდღიურ მეტყველებაში, პრესაში და თითქმის განდევნილია მართებული ფორმები: **ვწყვეტთ**, **(მო)კბეჩს**, **კრეფს**, **ზელს** და სხვები. უმართებულო და სწორი ფორმების გარჩევა კი საკმაოდ ადვილია. ამაში ზმნის უპირო ფორმა, ანუ საწყისი, დაგვეხმარება: თუ ზმნაში - **ავ** დაბოლოება გვაქვს, ეს სუფიქსი ნაშთის სახით **ვ** თანხმოვანს დატოვებს საწყისში, მართებულია **რეცხავს**, რადგან მისი საწყისია **რეცხვა**. მაგრამ სწორი ფორმებია: **კბეჩს**, რადგან მისი საწყისია **კბეჩა** (და არა კბიჩვა); **გლეჯს**, რადგან მისი საწყისია **გლეჯა**; **წყვეტს**, რადგან მისი საწყისია **წყვეტა** და ა.შ.

ასე რომ, მართებული გამონათქვამები იქნება: **საკითხს ვწყვეტთ, ნომერს ვკრეფთ, ცომს ზელს, ვაშლს მოკბეჩს.**

### ახლა.... ასე...

ძალიან ხშირად ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე სიტყვის ორი სხვადასხვა ვარიანტი და არ ვიცით, რომელი მათგანია სწორი. მაგალითად, გვაქვს როგორც **ახლა, ახლავე, ახლანდელი, ახლახან**, ასევე **ეხლა, ეხლავე, ეხლანდელი, ეხლახან. ასე, ასეთი, ასეთნაირი** და **ასევე, ესე, ესეთი, ესეთნაირი**. ამ ორ-ორ ვარიანტს შორის განსხვავებას მხოლოდ **ა** და **ე** ბგერები ქმნიან.

იმის გარკვევაში, რომელი ფორმაა სწორი - ახლა(ვე) თუ ეხლა(ვე), ამოსავალი სიტყვა დაგვეხმარება. ეს სიტყვა **ახალი**, რომლისაგანაც არის მიღებული ახლა, აქედან გამომდინარე, სწორია ფორმა **ახლა** და მისგან ნაწარმოები **ახლავე, ახლახან, ახლანდელი**, ამას **ხელახლა** ფორმის არსებობაც ადასტურებს. ხოლო არასწორი ფორმები **ეხლახან, ეხლავე, ეხლანდელი** უნდა უარვყოთ.

იგივე შეიძლება ითქვას ასე-ესე, ასეთი-ესეთი, ასეთნაირი-ესეთნაირი ფორმების შესახებაც. ტრადიციული ქართული გამოთქმები **ასე რომ, ასე შემდეგ**, მიგვითითებს, რომ სწორედ **ა** ხმოვნიანი ვარიანტია მართებული. ამიტომ უნდა ვთქვათ: **ასე, ასეთი, ასეთნაირი** და ა.შ.

როგორც გაირკვა, განხილული ვარიანტებიდან უნდა უარვყოთ **ე**-ხმოვნიანი ფორმები: ეხლა, ეხლავე, ეხლანდელი, ესე, ესეთი, ესეთნაირი და მათ ნაცვლად გამოვიყენოთ ტრადიციით განმტკიცებული სწორი ფორმები: **ახლა** და მისგან ნაწარმოები **ახლავე, ახლახან, ახლანდელი**; **ასე** და მისგან ნაწარმოები: **ასეთი, ასეთნაირი** და ა.შ.

„ჯაყოს ხიზნები" მ. ჯავახიშვილის იმ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც ყველაზე მეტად ავლენენ ავტორის ლიტერატურულ შესაძლებლობებს. უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემებისადმი მიძღვნილი ეს რომანი გამორჩეულ ადგილს იჭერს არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ, საზოგადოდ, მთელი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

მ. ჯავახიშვილს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ მას ეს ნაწარმოები განსაკუთრებულად, გამორჩეულად უყვარდა. როგორც თავად წერს, ყველაზე მეტი დავა მისი შემოქმედებიდან ამ რომანს გამოუწვევია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც მწერლისათვის, პირველ ყოვლისა, სწორედ მას მოუნიჭებია. „ჯაყოს" 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი,- აღნიშნავს იგი ერთგან, - ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო" გმინვაა ჩემი სულისაი.

ილია სულაც არ ფიქრობს ქართული სცენიდან არაქართული ნაწარმოებების განდევნას. პირიქით, იგი მხარს უჭერს, რომ საზოგადოებამ თვალი შეაწყოს, გაიცნოს უცხო ქვეყნის ცხოვრება, კლასიკური მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები. მაგრამ ამისათვის საჭიროა თარგმნის კარგი პიესები და თარგმნის კარგად. ხშირ შემთხვევაში კი ქართულ სცენაზე წარმოდგენილი უხეირო თარგმნილი უცხოური ნაწარმოებები. ილია ასახელებს ჯ. ბაირონის ტრაგედიის „დემორის ოჯახი", რომელსაც გულისგამაწვრილებელი მკვლელობის უწყალოდ და იქვე ალაგმავს მთარგმნელი უვარგისობის, რომელსაც „ხელოვნობა და საღმრთოს დაუძლურებს პიესის აზრიანობას და ქართულ ენას".



# მარად ცოცხალი და ახლობელი

## ქრისტეს კვართი და წითელი კვერცხი

უძველესი წყაროებიდან ცნობილია, რომ ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობელმა იესო ქრისტეს ჯერ კიდევ ყრმობაში მოუქსოვა კვართი. ეს სასწაულებრივი პერანგი უფალთან ერთად იზრდებოდა. იგი იყო მთლიანი, გაუჭრელი და უნაკერო. სწორედ აღნიშნული კვართი ემოსა უფალს, როდესაც ის ჯვარს აცვეს. როგორც ცნობილია, ჯარისკაცებმა ქრისტეს სამოსელი გაიყვეს, კვართზე კი წილი ყარეს. ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა კვართის, როგორც ერთიანი და განუყოფელი ქრისტეს ეკლესიის სიმბოლოს, დაშლა-დანაწილება უფლის დღეშა.

კვართი წილად ხვდა მცხეთელ ელიოზს, მან ძვირფასი პერანგი მცხეთაში ჩამოიტანა. მისმა დამ კვართი გულში ჩაიკრა და მყისიერად სული განუტევა. კვართი მასთან ერთად მიწას მიაბარეს. იმ ადგილას დღეს სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი დგას.

ბუნებრივია, იმ ფაქტს, რომ უფლის კვართი სწორედ საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში, აღმოჩნდა დაფარული, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხისთვის. და იქნება თავად უფლის კვართი ყველა ქრისტიანისათვის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს, ქართველებისათვის მას მაინც ყოველთვის გამორჩეული ღირებულება ჰქონდა. სწორედ ამიტომ ქრისტეს კვართმა ქართველების საზოგადოებრივი ყოფის თითქმის ყველა სფეროს დაამჩნია თავისი კვალი. ჩვენ ამჯერად მას ენობრივ ასპექტში განვიხილავთ.

ხშირად გაგვიგონია გამოთქმა - „ეს რა ქრისტეს პერანგი შეიქნა", „ქრისტეს პერანგი ხომ არ არის". ამ გამოთქმებით ისეთ საგანზე მიუთითებენ, რაც დავის, კამათისა თუ განხილვის საგანს წარმოადგენს. ქრისტეს პერანგთან მისი დაკავშირება კი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მისი კვართიც სწორედ დავისა და ჩხუბის მიზეზი გამხდარა, რის გამოც ჯარისკაცები იძულებულები გახდნენ, მასზე წილი ყარათ.

ამავდროულად, ამავე გამოთქმებში საუბარია ისეთ საგანზე, რომელიც ძალიან ძვირფასი, ხათუთა რამაა. სწორედ ამიტომ ის შედარებულია უდიდეს მატერიალურ სიმდიდრესთან, რაც კი ქართველობას აქვს - უფლის კვართთან. აქ აუცილებლად გაგვახსენდება მეორე მსგავსი შინაარსის მქონე გამოთქმა - **„ეს წითელი კვერცხი** (ე.ი. გამორჩეული, საპატივცემულო რამ) **ხომ არ არის?"** ამ გამოთქმას ისეთ ადამიანზე იტყვიან, რომელიც სხვებისგან გამორჩევას ცდილობს და თავი უფრო მაღალ საფეხურზე მიაჩნია. აქაც ძვირფასი ობიექტის გამოსახატავად ქართველი ხალხი ქრისტიანულ სიმბოლოს, ქრისტიანული სარწმუნოებისთვის ძვირფას საგანს - აღდგომის წითელ კვერცხს მიმართავს.

ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში უძვირფასეს საგნებად სწორედ ქრისტიანული სიმბოლიკის ობიექტები აღიქმება, მრავლისმეტყველია და ეს მათ ქრისტიანულ აზროვნებაზე მიუთითებს.

აქვე ის ფაქტიც არის აღსანიშნავი, რომ ძველი სიტყვა „კვართი", რომელიც უკვე გამოსული იყო ხმარებიდან, ხალხის მეტყველებაში შეიცვალა ამავე სამოსის ახალქართული სახელწოდებით „პერანგი". ზემოაღნიშნულ გამოთქმებში „კვართის" ნაცვლად სწორედ „პერანგი" გამოიყენება. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული გამოთქმები არ გამოიყენება, როგორც გაქვავებული მონაცემები, რომელთა შინაარსიც უცნობია ხალხისთვის: არამედ მან, ვინც ამ გამოთქმას ხმარობს, კარგად იცის მისი წარმოშობის ისტორიაც და ის საფუძველიც, რის ნიადაგზეც ხდება ნაგულისხმები საგნისა და ქრისტეს კვართის შედარებაც. ამიტომ, როდესაც შეიცვალა სამოსის სახელწოდება (კვართი - პერანგი), ამან ასახვა ზემოხსენებულ გამოთქმებშიც ჰპოვა. ეს კი ნათლად მიუთითებს, რომ ქრისტიანული სიმბოლიკის საგნები და მოვლენები დღესაც ისევე ცოცხალი, ახლობელი და მშობლიურია ქართველი ხალხისთვის, როგორც ძველად, მრავალი საუკუნის წინ.

ნინო ჯორბენაძე



*კარგა ხანია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეკლამა აქტიურ როლს ასრულებს. ის, რაც ერთი ათეული წლის უკან (მეტი რომ არ ვთქვათ) თითქოს არც არსებობდა და შეუმჩნეველი იყო, დღეს თითქმის განსაზღვრავს ცხოვრების რიტმს. /რეკლამისადმი საზოგადოების საგანგებო დამოკიდებულებას მოწმობს ის, რომ ბევრ ქვეყანაში არსებობს რეკლამის შემსწავლელი ინსტიტუტები და აკადემიაც კი. რეკლამის ფენომენისადმი საზოგადოებრივი ინტერესი მძაფრია ჩვენშიც/.*

*მაგრამ სამწუხაროდ, თითქმის არ მოიპოვება პოპულარული ხასიათის ლიტერატურა რეკლამაზე. მალე ამ ხარვეზს გამოასწორებს მ. ჩაჩანიძის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი „ქართული რეკლამის შესახებ", რომელიც გამოსაცემად მზადდება.*

*გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ამ ნაშრომიდან.*

## მანანა ჩაჩანიძე

# რეკლამა, როგორც სოციალური ფენომენი

ცნობილია, რეკლამა ლათინური წარმოშობისაა (ლათ. reclamo) და ქართულად ყვირილს ნიშნავს. რეკლამა, როგორც რთული და მრავალმხრივი საინტერესო სოციალური ფენომენი, რომელსაც ხშირად „კომერციის ძრავას" უწოდებენ, განსაკუთრებით აქტიური კვლევის ობიექტია ამჟამად. რეკლამის უმნიშვნელოვანესი და საგანგებო როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეცნიერების მრავალ დარგს აინტერესებს. რეკლამას იკვლევს მაგალითად: ეკონომიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა, კულტუროლოგია, ლინგვისტიკა და სხვ. კონკრეტულ სამეცნიერო დისციპლინათა მიერ დადგენილი კანონზომიერებანი კი საერთო საკვლევი მოვლენის - რეკლამის - ობიექტურ ბუნებას შეესაბამება.

ეკონომიკის სახელმძღვანელოებში რეკლამას განმარტავენ, როგორც მომხმარებლისათვის საქონლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ნებისმიერ ანაზღაურებად ფორმას, რომლის მიზანია, პოპულარიზაცია გაუწიოს რეკლამირებულ ობიექტს და ხელი შეუწყოს გასაღების პროცესს. იმავე სახელმძღვანელოებში მიუთითებენ, რომ რეკლამის წარმოშობის წინაპირობები უნდა ვეძიოთ საზოგადოების მატერიალური ცხოვრებაში, ეკონომიკური ურთიერთობათა განვითარებაში. რეკლამის წარმოშობა ისტორიულად უკავშირდება გაცვლას და მისი განვითარება პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ პირველი ცნობები რეკლამის შესახებ მოგვეპოვება იმ პერიოდის, როდესაც წარმოიშვა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და წარმოება გაცვლისათვის. არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ რეკლამა არსებობდა ძველ ეგვიპტეში ჩვენს ერამდე მე-3 ათასწლეულში. თანამედროვე რეკლამის წინაპარი მონათმფლობელურ საზოგადოებაში აღმოცენებული ზეპირი რეკლამა, რომელიც წინ უძღოდა წერილობით რეკლამას. რამდენადაც სიტყვა რეკლამა ყვირილს ნიშნავს, ვარაუდობენ, რომ პირველი რეკლამა იყო ვაჭართა წამოძახილები, რომლებიც აქებდნენ თავის საქონელს. საბერძნეთსა და რომში III-II საუკუნეებში, ჩვ.წ. აღ-მდე, საჯარო განცხადებებს ხის დაფებზე, სახლების ან ძეგლის ფარფლებზე წერდნენ და თვალსაჩინო ადგილებზე აკრავდნენ, ან კიდევ ვაჭრის მიერ დაქირავებული ადამიანი ხმამაღლა კითხულობდა საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში სხვადასხვა სავაჭრო ხასიათის განცხადებას. მაგრამ ნამდვილი, თანამედროვე რეკლამის წარმოშობა XV-XVI საუკუნეთა მიჯნას მიაწერენ: ერთ-ერთმა ევროპელმა წიგნის გამომცემელმა მანუციმ დაიწყო წიგნის სათაურების ბეჭდვა და თავფურცლების გამოფენა მაღაზიების შესასვლელებში. ეს იყო, როგორც ვარაუდობენ, პირველი ნამდვილი თანამედროვე რეკლამა მსოფლიოში, რომელიც კი აქამდე ცნობილი. ბეჭდვის შემოღებამ და ამის ნიადაგზე წიგნ-კითხვისა და ინფორმაციის შედარებით სწრაფმა გავრცელებამ, დიდი სამსახური გაუწია რეკლამის განვითარებას. დაარსდა გაზეთები და ჟურნალები და მალე გაზეთების მფლობელებმა დაიწყეს „მიმდევრების გაყიდვა" განცხადებებისათვის. რეკლამამ განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰპოვა ევროპაში მე-18 ს-დან და მჭიდროდ დაუკავშირდა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას. სარეკლამო საშუალებები ტექნიკის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა, ფართოვდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. ასე რომ, თანამედროვე რეკლამის დახვეწილი სახე დიდი შრომისა და რეკლამის, საუკუნეობით დაგროვილი მეთოდთა გამოცდილებისა და უახლესი ტექნიკური მიღწევების კომპლექსური გამოყენების შედეგია.




რეკლამის პირველი საფეხურის ძიებამ ისე შორს წაიყვანა მკვლევრები, რომ ერთ-ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა სარკასტულად შენიშნა: რეკლამის ხასიათის პირველი სცენა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სამოთხეში გათამაშდა და მასში სამი პერსონაჟი მონაწილეობდა: ადამი - კლიენტი, ევა - გამყიდველი და გველი - სარეკლამო ბიუროს აგენტი, რომელმაც ვაშლის უპირატესობა კარგი, საუკეთესო არგუმენტები, რომლითაც მან ადამის შეგონება შეძლო. რაც შეეხება მეცნიერულ კვლევას, რეკლამა ნამდვილი მეცნიერული კვლევის საგანი გახდა გაცილებით გვიან, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, 1923 წელს ამერიკელმა მეცნიერმა კლოდ კოპკინს-


TURK
LOKANTASI
MAZUT

ხასიათი. მთავარია, რაღაც ფორმით მაინც მოხდეს ნათარგმნი რეკლამის „გაქართულება“ - ქართულ გარემოს-თან ასე თუ ისე მისადაგება. ან მაქსი-მალურად იქნეს შენარჩუნებული უცხოური ელფერი - ეს ორი მიმართუ-ლება თარგმნისას ყველაზე ოპტიმალუ-რია სასურველი კომერციული შედეგი-სათვის. თარგმნის შედეგის ობიექტუ-რი კრიტერიუმი, სპეციალურ ლიტერა-ტურაში, მიღწეული საწარმოთა თვისაც არაა დადგენილი, რომ არაფერი ვთქვათ რეკლამის თარგმნის შესახებ. თუმცა, ვფიქრობთ, რეკლამისათვის ასეთ ობიექ-ტურ (თითქმის არალინგვისტურ) კრიტერიუმად კომერციული ეფექტი გა-მოდგება.

რეკლამაში კომერციული ეფექტი, ანუ ვთქვათ, ბიზნესია, ხოლო ენობრი-ვი - ზედნაშენი. რეკლამის ენობ-რივი ქსოვილი მით უფრო ლამაზი და მიმზიდველია და, ალბათ, უფრო კომერციულიც, რაც უფრო დახვეწილი ფორმაა ნაქსოვი. უპირველესად სწორედ ასეთი რეკლამა ახდენს მომხმარებლის აზრზე ზემოქმედებას და იწვევს მის ყურადღებას, თორემ ქალის ჯაგრისსა თუ სარეცხ საშუალებას წებისმიერი ადამიანი ყველაფერი რეკლამის გარე-შეც შეიძენს. მართალია, რეკლამაში ის-ტორია მთავარია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ისტორიის მოწო-დების ენობრივი მექანიზმი. ნებისმიე-რი ლექსიკა, მიღწეული (ზმნური მორ-ფოლოგია) და არამიღწეული კომპონენტი განაპირობებენ რეკლამის სტრუქტურა-თა და ტიპებს. ენობრივი ეფექტის საფუძველი უმეტეს შემთხვევაში მოუ-ლოდნელობებია. მოულოდნელობების ფერად მძივში (ფერი, სურათი, მოძრაო-ბა და სხვ.) ერთი ბრწყინვალე მარცვა-ლია სიტყვათა შეუძლებელი სემანტიკუ-რი შეხამებანი. მაგ., როგორიც გვხვდება: იქნები სენსაცია, ყველაზე გემრიელი დაიწყო კარუსისაგან. ხარისხის გემო. დიდი გემო პატარა შეკვრაში. ცხოვრე-ბა საშხაპეში. გემო კი - სანუკვარი და სხვ. - სწორედ მის ყველაფერი ყვე-ლაზე ნაკლებად, რაც გავიგონეთ. სხვა საქმეა, რამდენად მარცვალი და მიზნობრი-ვულია ასეთი ფორმები. რეკლამის მი-ზანი განაპირობებს იმას, რომ პოეტური ენის (პოეტურობა მიღწეულობის უფრო მაღალი საფეხურია) მსგავსად, რეკლა-მის ენაშიც ყველაფერი მოულოდნელო-ბა მისაღებია. მაგ., ქალთა სილა-მაზის სალონის რეკლამა: სილამაზის გამოხატულ ქალიშვილს თვალი არ ჩაუ-რთო, იგი შესაძლოა ბუნებრივი ადამიანს,- მიუწვდომელი და ენობრივ-რი ეფექტი მოულოდნელობითაა გამოწ-ვეული. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოულოდნელობები არამარტო ლამაზი, არამედ სახიფათოცაა.

ამ ბოლო დროს მეტად აქტუალუ-რი გახდა ენის ეკოლოგიის პრობლემა. ენა ყველა ხალხის თავისებური საარსე-ბო გარემოს წარმოადგენს. საარსებო გარემოსათვის კი მხოლოდ უცხოური-ლი დამოკიდებულება დამღუპველია. არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ენობრივ გარემოს ასეთივე არაფე-რი ისე კატასტროფულად არ აბინძუ-რებს, როგორც მდარე ხარისხის რეკ-ლამა. რეკლამის უარყოფითი, უხარის-ხო ტექსტი კი უპირველესად. ამ ტექსტის შემდგენის „ენობრივი ალ-ღოს“ უქონლობის შედეგია. ენის ეკოლო-გია გულისხმობს არამარტო ენის სტრუქტურის, არამედ ენობრივი საშუალებების ანუ ენის გამოყენების ეკოლოგიას. შეუძლებელია კულტურის ფუნქციონირება განსხვავე-ბით, რომლებიც ნორმის დარღვევას გულისხმობ-ბენ. ენის ეკოლოგიის ფუნქციები თავისებური იმპ-თი მოვლენებია, რომლე-ბიც ზოგი გამოყენების, ტიპოლოგიის შედეგად ენის სტრუქტურაში შეაღწია, იქნებ რომ ფაქტის დამოუკიდებლობას საჭიროებს რეკლამის ტექსტი. ამიტომ მოულოდნელობის ეფექტი გამართლე-ბულია ეკლექტიკურობა და დისკურსში მასობრივი კომუნიკაციის ყველაზე მობილურ საშუალებაში - რეკლამაში. უპირველესი მოთხოვნა იმისათვის, რომ ქართული რეკლამა მაქსიმალურ ეფექტი-ლი კულტურის ფაქტად, ასეთია: ქართუ-ლი რეკლამის ენა უნდა იყოს ქართუ-ლი! წინააღმდეგ შემთხვევაში რეკლამა იქნება საინფორმაციო ხასიათის, საზი-ში ქართული ენის ეკოლოგიური გარემოსათვის. ეს ერთნაირად უნდა ადარდებდეს საზოგადოებას, მეცნიერს, პედაგოგიურ პირადობას თუ უბრა-ლო ადამიანს, რადგან ქართული ენის სიწმინდე სიტყვის პატრონობა ამჟამად ჩვენ ყველა და სამომავლო პასუხისმგე-ლობაც ჩვენ გვეკისრება. რასაც რეკლა-მა ზემოქმედებს საზოგადოებაზე, საზო-გადოება ვალდებულია თავისიც ზემოქმედებდეს. ზრუნავდეს მასზე. მხოლოდ ასე თუ იქნება სრულფასოვანი ადამიანური ქმნილება - რეკლამა და არც ქართული ენის საარსებო სივრ-ცეში გაჩნდება საფრთხე.

ჩვენ ვსაუბრობთ რეკლამაზე, რო-გორც რთულ და საინტერესო სოცია-ლურ ფენომენზე. რეკლამის მრავალწახნაგოვნებაზე საუბარი მოცუ-ლობით არამარტო წინამდებარე მეცნიერულ გამოკვლევებში, არამედ რეკლამისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან დამხმარე სახელმძღვანელოებშიც. ამ სახელმძღვა-ნელოთა ავტორები რეკლამის ისტორიულ-სა თუ ამ სფეროში დაინტერესების მსურ-ველთ სთავაზობენ რჩევებს, უხვადაა სავსე პრაქტიკული გამოკვლევებს. აქცენტი რეკლამის საწარმოებლის, ეხება-რებიან მათ ამ ეკონომიკური სფეროს ნიუანსთა შესწავლაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ნაკლებად ამგვარი სახელმძღვანელოები-დან ჩანს რეკლამის რთული ბუნება.

უდავოა, რეკლამის ფენომენი ღირ-სია ქართული საზოგადოების, მეცნიერე-ბის, ხელოვნების, კულტურის მოღვაწე-თა უპირობო ყურადღებისა და მაგრამ ალბათ, ამ სფეროშიც მეტადრე ლიტე-რატურა გვჭირდება.




*ჟურნალისტი საქმიან შენიშვნას თუ სასარგებლო რჩევას ავტორი მადლიე-რების გრძნობით მიიღებს.*

ეთერ ლონდარიძე

# სიტყვისა და მუსიკის კავშირი ბალადაში

ზოგადქართული მუსიკალური შემოქმედების უძველესი და საინტერესო შტო - ბალადა, როგორც მთლიანად ფოლკლორი, ხალხის შემოქმედებითი კუთვნილებაა და მის წარმოშობაში მონაწილეობას იღებს ჯერ ისევ ერთი, შემდეგ - თაობიდან თაობაზე გადაცემით, მთელი კოლექტივი.

ბალადის წარმოშობის ფესვები საქრისტიანოში შორეულ, პრეისტორიულ წარსულს უკავშირდება. თავდაპირველად იგი ცეკვასთან (ფერხულთან) ერთად სრულდებოდა; გუნდურ ცეკვას თან ახლდა სიტყვიერი შეძახილები, რომლებიც დროთა განმავლობაში განვითარდა და საგუნდო-საცეკვაო სიმღერის სახე მიიღო. ყველა მათგანს აერთიანებს ფერხულისათვის დამახასიათებელი ორგანული შესრულება, პუნქტირებული ბანი, სინკოპური რიტმი. I გუნდის პარტია სიმღერის პანგის, მელოსის ჩვენებაა, რომელსაც შემდეგ II გუნდი იმეორებს უცვლელად ან ნაწილობრივ ვარირებით - ე.ი. ანტიფონთან გვაქვს საქმე. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ბალადები: „ამირანი“, „შავლეგო“, „ალხუვანის წავალ“, „ბაილ ბეთქილ“, „ია მთაზედა“ და სხვა (გამეორება ეხება პოეტურ ტექსტსაც).

საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც სიმღერის ტექსტმა თანდათან გაწყვიტა კავშირი ცეკვასთან, პოეტური მასალა კიდევ უფრო გაიზარდა და შეიქმნა უკვე არა ფერხულის ელემენტების შემცველი ბალადის ნიმუშები, არამედ ახალი სახის ერთხმიანი, სასიმღერო-რეჩიტატიული, თხრობითი ხასიათის ბალადები, როგორიცაა: „ვაჟია“, „ვეფხვი და მოყმე“, „შემომდგარა ყაჩაღი“, „თავფარაფხული ჭაბუკი“, „არსენა“ და სხვა; ამიტომაც გამოიყოფა შემდეგი ეტაპები (საფეხურები): I. მოკლე ტექსტი (ლექსი) - აგებული ერთ სიტყვაზე, ანუ ფერხულთან დაკავშირებული მრავალხმიანი ნიმუშები. II. გრძელი ტექსტი (ლექსი), აგებული 2-3 და მეტ სიტყვაზე, ანუ ერთხმიანი, ინსტრუმენტების თანხლებით შესრულებული ბალადები, რომლებშიც ფერხული გამორიცხულია; ე.ი. არქაული ფორმის, ინტონაციურად შეზღუდული და ერთფეროვანი მრავალხმიანი ბალადა შეცვალა განვითარებული პანგისა და ფართო დიაპაზონის მქონე მელოდიზირებული რეჩიტატივის შემცველმა ერთხმიანმა ბალადამ; უფრო კონკრეტულად: თხრობითი, ლირო-ეპიკური ხასიათის, მოკლე პოეტური ტექსტის შემცველი მრავალხმიანი საგუნდო-საცეკვაო ფორმიდან - ერთხმიან, ხალხური საკრავის თანხლებით შესრულებულ, დრამატულად მძაფრ, თხრობითი ხასიათის გრძელ, პოეტური ტექსტის მქონე ბალადებამდე - ასეთია ქართული ბალადის განვითარების გზა, ბალადისა, რომელიც მდიდარ მასალას წარმოადგენს სიტყვისა და მუსიკის ურთიერთობის საკითხის კვლევისათვის.

სიტყვისა და მუსიკის კავშირი კი რთული პროცესია და ვლინდება როგორც რიტმში, მელოდიასა და ტემბრში, ისე სინტაქსსა და ფორმაში; სიტყვის განსხეულება მუსიკაში მისი რიტმის, მელოდიისა და ტექსტის, მუსიკალური ენის გამდიდრებას ემსახურება. ვოკალურ ბალადაში, ისე როგორც საერთოდ ვოკალურ მუსიკაში, სიტყვის მნიშვნელობა და გამომსახველობა, მელოდიკა (ბგერათრიგი) და მეტყველების სინტაქსიც ურთიერთკავშირშია რიტმთან. პოეტური ტექსტი აქ ხელახლა იძენს ბგერით ფორმას, ან ანიჭებს მას განსაკუთრებულ ემოციურ ელფერს და ზოგჯერ მნიშვნელობასაც კი. რიტმი, მელოდიკა, ტემბრი, დინამიკა, ხმოვანების სიძლიერე - მთავარი ელემენტებია როგორც მეტყველებისთვის, ასევე მუსიკისთვისაც. სამეტყველო ინტონაცია მეტ-ნაკლებად აისახება მელოდიაში და ერწყმის მას. რიტმი არის როგორც მეტყველების, ისე მუსიკის ორგანიზაცია დროში, რომელსაც მიეკუთვნება აქცენტები, პაუზები, ტემპი და სხვ.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ, როგორც პოეტურ, ისე ვოკალურ ბალადაში შეინიშნება აქცენტების ორი ტიპი: რაოდენობრივი (აქცენტირებული მარცვლების, ბგერის გამოყოფა უფრო გრძელი ბგერით, ე.ი. სინკოპე) და მელოდიური (ანუ აქცენტირებული მარცვლის გამოყოფა სიმაღლით). ასეთ შემთხვევაში ბგერები დაახლოებით ერთსა და იმავე სიმაღლეზე ჟღერს და აღიქმებიან როგორც უაქცენტონი, ე.ი. რეჩიტატიულნი). საყურადღებოა, რომ სწორედ ამიტომ არის ქართული ბალადისათვის ესოდენ დამახასიათებელი სინკოპირებული რიტმი და რეჩიტაცია, რის გამოც ბალადებში თქმას დიდი როლი ენიჭება, იგი ბალადის მთავარი კომპონენტია. ეს არ არის შემთხვევითი - ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში თქმას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ე.წ. გაბმული (запевала-ს) ტიპის სასიმღერო კატეგორიას. ამას გვიდასტურებს ჩვენში არსებული ლილინი, თქმა, მოძახილი, შემხმობარი... სწორედ აქედან მომდინარეობს სპეციფიკა ქართული ხალხური სიმღერის თქმისა. ბელკანტური, იტალიური უფრო ქალაქურ სიმღერებში შემოვიდა (მაგალითად: „ციცინათელა“, „სულიკო“...). ბანსაც თუ დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ იგი ღრიალა კი არაა, მოგუდულია. ყოველივე ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს დამახასიათებელი ნიშნები (როცა მრავალხმიანი ბალადა ერთხმიანი სიმღერის კატეგორიაში გადავიდა) ახალი - ქართული (ვალსი) სიმღერების თვისებებით შეივსო. კერძოდ, შეიძინა ურმულებისა და ოროველებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სევდიანი ლირიზმი, ვარიანტულობა, რეჩიტატიულობისა და მელოდიურობის შერწყმა, პანგის კვინტური ბგერის გამახვილება (ბგერის გამეორება), პანგის სვლა კულმინაციური ბგერისკენ და დაშვება ქვევით, ტონიკაზე, აგრეთ-

ვე რთული მეტრორიტმი. ეს უცნაუ-ნული - რიტმული მონახაზების სიმდიდრე და სირთულე განსაკუთრებით აღინიშნება ერთხმიან ბალადებში. მრავალხმიანებში კი ფერხულის რიტმია გაბატონებული, ამიტომაც აქ რიტმი იმორჩილებს ყველაფერს - მოძრაობას (ცეკვას), სიტყვიერ ტექსტს, მუსიკას... შეძახილების როლიც სწორედ რიტმისათვის ხელის შეწყობაში გამოიხატება. რიტმის გამახვილება ეწინება ბანსაც, რომელიც განსაკუთრებით მოძრავი, რიტმული ხდება ცეკვის (ფერხულის) დაწყების მომენტიდან. ამავე დროს იგი მელოდიურიცაა, თუმცა უმეტესად ტერციის ფარგლებში ეწყვეტა, რის გამოც Basso ostinato-ს ტიპურ მონახაზს ქმნის.

პოეტური ტექსტი და მუსიკა ქართულ ხალხურ ბალადებში ურთიერთკავშირშია რიტმთან. პოეტური ტექსტი აქ ახლებურ ბგერით ფორმას იძენს - თითო მარცვალს თითო ბგერა შეესაბამება. ამასთანავე, ერთხმიან ბალადებში არ არის განსაზღვრული ბგერათა და მარცვალთა რაოდენობა - მას ახასიათებს adlibitum, გრძელი ფრაზები, ტექსტსა და მუსიკას შორის მჭიდრო მეტრო-რიტმული კავშირია და, ამ მხრივ, მათ იმპროვიზაცია ნაკლებად ახასიათებთ (თითქმის გამორიცხულია, განსაკუთრებით პოეტურ ტექსტში). ამასთანავე ისინი ინტონაციურად დინამიკურია - მომღერალს თითქმის ყოველ სტროფში შეაქვს აგოგიური (p, f) და დინამიკური (accellerando) სიახლე, თუმცა ამგვარ თითქმის უცვლელი რჩება. აქ რეჩიტატივი მელოდიზირებულია, ერთობ შენიღბული, ამასთანავე ისინი მხოლოდ ორიოდე ლექსის რიტმიკისა, ლექსის მეტრის ემორჩილებიან, ლექსის მარცვლებზეა დამყარებული რეჩიტატიური მელოდია და შესრულების სტილი. ვხვდებით ერთწილად, სამწილად და პერიოდულად შერეულ ზომასაც. მელიზმი ერთხმიან ბალადებში, მართალია, არცთუ ხშირია (მრავალხმიანებში გამორიცხულია!), მაგრამ მაინც აღინიშნება და, შესაძლოა, იგი სწორედ „ოროველებიდან" მოდის (ფორშლაგი, ტრილი, კვინტოლი, სექსტოლი).

რაც შეეხება ბალადებში მელოდიური მოძრაობის საკითხს, განსაკუთრებით ხშირია პორიზონტალური მელოდიური მოძრაობა, რომელიც უმეტესად მუხლის დასაწყისსა და დასასრულს (მუხლის შემობრუნებისას) შეინიშნება. რაც იწვევს რეჩიტატიულობის გააქტიურება-



არსენ შოხხუა. „შემხმოხარი" (ბზა)

გაძლიერებას სწორედ ამ მონაკვეთში. ამიტომაც რეჩიტაცია ქართული ხალხური ბალადის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

სასიმღერო არტიკულაცია ერთხმიან ბალადებში გამოკვეთილია, მაგრამ მკაფიო არაა. მხოლოდ ფსიქოლოგიურად დაძაბულ, დრამატულ, კულმინაციურ მომენტებში მჟღავნდება, მაგალითად: „ქალას ვახს იქნება „გულისანი..." („ვეფხვი და მოყმე"). მრავალხმიან ბალადებში კი დიდი როლი ეკისრება სიტყვიერი ტექსტის გაძლიერებას, მეტად გამოთქმას, პოეტურ ტექსტში სხვადასხვა შეძახილების ჩართვისა და ცალკეული სიტყვების ხმოვანთა გამოყოფა-გააქტიურებას, რათაც საცეკვაო რიტმი კიდევ უფრო გამახვილებულია; მაგალითად: „შუ-ოუუუ-რე"... (ბალადაში „ამირანი") და ა.შ.

ბალადების განხილვამ ისიც გვიჩვენა, რომ მათი შინაარსი ძირითადად მთქმელის მიერ (ე.ი. მესამე პირში) გადმოიცემა. სადაც ბალადის შინაარსიდან გამომდინარე წინა პლანზეა სიტუაცია, გმირის ბედი და არა მთქმელის პირადი განცდები (გავიხსენოთ „ვეფხვი და მოყმე", „თავფარავნელი ჭაბუკი" და სხვ.). მრავალხმიან ბალადებში კი, რაკი ისინი ცეკვა - ფერხულთანაა დაკავშირებული, ტემპი აჩქარებულია, რეჩიტაცია კი გააქტიურებული და გამახვილებულია... მათში ცეკვის მომენტი დასაწყისში ერთგვარად შენიღბულია, შემდეგ კი პოეტური ტექსტიდან გამომდინარე ტემპი ჩქარდება და ფერხულიც ძალაში შედის. ჩნდება შეძახილებიც. ყურადსაღებია ისიც, რომ ცეკვის (ფერხულის) დაწყებამდე ბალადა კენტ ზომაში სრულდება, ტემპის აჩქარების ანუ ცეკვის დაწყების მომენტიდან კი - ლუწში გადადის. ლუწი ზომებიდან უფრო ოთხწილადი გვხვდება, კენტიდან - სამწილადი. სამწილად ზომაში უფრო რიტუალური (მრავალხმიანი) ბალადები სრულდება, კენტი მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. გურიაშიც კი, სადაც ძირითადად ლუწი ზომა ჭარბობს. მარშის მომენტი მაინც განიდევნებოდა თუთ მაჟორულობიდანაც, რადგან ცხენებით იყო სვლა... ამიტომაც ბუნებრივია, მარშის სვლის მომენტი ირღვეოდა, ესეც მეტად მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია მრავალხმიან ბალადებში ფეხის დარტყმის მომენტის არსებობა, რომელიც ერთხმიან ბალადებში საერთოდ, ინსტრუმენტის თანხლებამ შეცვალა, რამაც ასევე გარკვეული გავლენა მოახდინა სიტყვისა და მუსიკის კავშირზე; კერძოდ, ეს შეეხო არა მარტო პოეტური ტექსტის (ლექსის) გაზრდას, არამედ მის მუსიკალურ განსხვავებასაც, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

გოჩა კუჭუხიძე

# „ხელით წერილი“ ანბანი

თეიმურაზ ბაგრატიონს, როგორც ცნობილია, 1822 წ-ს პეტერბურგში კოჯისის უნახავს ანტონ II კათოლიკოსის წიგნი, რომელსაც „მარგალიტ შემეცნებათა“ რქმევია და რომელშიც, როგორც თეიმურაზ ბაგრატიონი გადმოგვცემს, ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ყოფილა ცნობა დაცული. გადმოხსნია ეს ცნობა: „არა უწიგნიათ ძველნ ქართველნი უწინარეხით ფარნავაზ მეფისა, ვიდრე ფარნავაზმადე სპარსულს იყვნენ უხუცესნი წერილითა. ესე იყო, ქურუმთა მათ, რომელთაცა უწყოდნენ და ხუცეს-ბერთა უბიწოთ, იგინი იყვნენ მოძღვარნი და მეწინასწარმეტყველნი ჟამისანი, და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ნუსხა. ფარნავაზმან წერილთა მათითგან გამოიღო მეცნიერებისათვის ოქსისა მხოლოდ ხელით წერილი განაჩინა ასონი და არა სხვით რაითიმე. მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველად ყოვლად ჭეშმარიტ არს წერილისაგან უპირატეს და ქადაგებისა და მეცნიერება არიან ასოთა მათთა ნუსხა ხუცური.“[1] თეიმურაზ ბაგრატიონს ეს ცნობა პირველად მარი ბროსესთვის გაუგზავნია; როგორც ჩანს, რაზმან პიტერვირ ალოპი, ეს საისტორიო წყარო ქართულ მეცნიერებაში დიდი ხნის მანძილზე იყო დავიწყებული, სანამ მას ყურადღება ხელმეორედ არ მიაქცია გურამ შარაძემ.[2]

წინამდებარე წერილში ნუსხა მოხსენიება, კიდევ ერთხელ შევეცდებით და, რაც შეიძლება, სწორად ამოვიცნოთ შინაარსი იმ სიტყვებისა, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონს დაუწერია, - გარდა იმისა, რომ აქ მოყვანილი ცნობის ავტორი ქართული ანბანის ფარნავაზ მეფის ცხოვრებაზე გაცილებით ადრეულ პერიოდში წარმოშობაზე გვესაუბრება, შესაძლოა ამ წინადადებაში რამდენიმე საინტერესო ნიუანსიც წარმოჩნდეს, რომელიც აქამდე ლებლად მიიჩნიეს ყურადღებას.

უპირველესად ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს წინაშე ცნობა, რომელიც თეიმურაზმა, შესაძლოა, ზუსტად იმავე სახით არ გადმოიწერა, როგორიცაა ეწერა იგი წიგნში - „მარგალიტ შემეცნებათა“; თვითონ ამ წიგნისაც სიძველე იქცევდა ბევრი რამ შემორჩენილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ მოყვანილ ციტატაში მინიშნებული ძალიან საინტერესო შინაარსი იმ უძველესი ისტორიული ცნობისა... კარგად დავაკვირდეთ ამ შინაარსს,- თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვებიდან შემდეგი აზრი გამომდინარეობს: - ქართველები ფარნავაზამდეც იყვნენ არა უწიგნონი, მათ ქონიათ დამწერლობა, რომელსაც ქურუმები სწავლობდნენ,- ეს არის ნუსხა ხუცური დამწერლობა. ფარნავაზმა მათი დამწერლობიდან თავისი მეგობრისათვის (საერო ადამიანებისათვის) გამოყო ნუსხის ანბანი. გამოყო („განაჩინა“) მხოლოდ ის ასოები, ის ანბანი, რომელიც სხვა ანბანისაგან იმით იყო განსხვავებული, იმით იყო გამორჩეული, რომ ხელით იწერებოდა და არა - რაიმე სხვით. მაგრამ ეს ქურუმთა ანბანი ეკრძალულა და ქადაგური ანბანისაგან არის წარმოშობილი და ნუსხა ხუცური ანბანი ჰქონდა ლეც მათ...

მაშასადამე, ციტატიდან ვხედავთ, რომ ქურუმთა უძველეს მწერლობაში, ბაგრატიონის ან შემორჩენილი ძველი რომელიღაც ძველი ცნობისა, რომელიც მკითხველს ამცნობდა, რომ ფარნავაზ მეფის დროს ქართლის წარმართულ ტაძრებში იყენებდნენ ორ დამწერლობას, რომელთაგან ერთი, - ის, რომელიც ქართული „ხუცურის“ სახელით არის ცნობილი, ფარნავაზ მეფის საერო მიზნებისათვის გამოუყენებია და ტაძრიდან გამოუტანია... მას საერო საჭიროებისათვის არ დასჭირდება ის მეორე ანბანი, რომელიც „სხვით რაითიმე“ იწერებოდა, ანუ, როგორც ჩანს, არა მხოლოდ პერგამენტზე საწერად, არამედ, ალბათ, სტელაზე ან რაიმე სხვა ნივთზე ამოსაკვეთად იყო განკუთვნილი...

როგორც ამ ცნობის ავტორი გვეუბნება, ორი სახის ანბანი გამოიყენებოდა, - ერთი ყოფილა „ხელით წერილი“, ხოლო მეორე - „სხვით რაითიმე“ დაწერილი... რას ნიშნავს „ხელით დაწერილი“ ანბანი და რით განსხვავდება იგი „სხვით რაითიმე“ დაწერილი ნიშნებისაგან? რის შესახებ უნდა ყოფილიყო ამ უძველეს წიგნში საუბარი, რის გამოც ანტონ II კათოლიკოსის „მარგალიტმა“ მოგვაწოდა? ჩვენი აზრით, ციტატიდან ყოველნაირი აზრი გამომდინარეობს... ციტატაში „ხელით ნაწერ“ ანბანთან დაპირისპირებულია რომელიღაც სხვა, - „სხვით რაითიმე“ დაწერილი ანბანი. ცხადია, აქ ბეჭდვის სტამბურ წესზე არ არის ლაპარაკი... მაგრამ ის კი საგულისხმოა, რომ სტელაზე „ბეჭდვის“, სტელაზე ან რაიმე სხვა საგანზე წარწერათა ამოკვეთის შესახებ იქნებ საუბარი... საგულისხმოა, რომ ხელით დაწერილ ანბანს შეესაბამება თუ გაცილებით ადრეულ პერიოდში მხოლოდ იმავე ასოებს დაუპირისპირდება, რომლებიც, პერგამენტზე ნაწერი როგორც დაწერილი ასოებისაგან განსხვავდება, სტელაზე და სხვა საგანზე შეიძლება ამოეკვეთათ... ამჟამად ჩანს, რომ რომელიღაც ძველ ციტატში წერის ორგვარი წესი განირჩევდა ერთმანეთისაგან, - ქართლში, ცხადია, იცოდნენ პერგამენტზე ხელით ჩვეულებრივი წერის წესი და ამგვარ ნაწერს, ჩანს, - „ხელით წერილი“ უწოდეს, ხოლო სტელაზე, ქვაზე ხელოსნის მიერ საჭრეთელით თუ სხვა იარაღებით ამოჭრილ-ნაკვეთი, საერთოდ, ნივთზე ამოკვეთილი ასოებისათვის, როგორც საგულისხმოა ჩანს,- „სხვით რაითიმე“ დაწერილი უწოდებიათ... თეიმურაზ

აქ წარმოდგენილი მოსაზრება, ცხადია, ძალზედ შორს მიმავალი და საბოლოო დასკვნების გამოტანის საშუალებას ჯერ არ იძლევა, მაგრამ, როცა გავიხსენებთ, რომ წარმართობისდროინდელ ქართლში აღმოჩენილ სტელებზე თუ სხვა ნივთებზე მხოლოდ არამეულ, ბერძნულ და ებრაულ ენებზე ამოკვეთილი წარწერები გვაქვს შემორჩენილი, ხოლო ქართული - არა, თავისთავად იბადება კითხვა, - ხომ არ გამომდინარეობს ციტატიდან ის აზრი, რომ ქართული ანბანი იყო ისეთი, რომელიც მხოლოდ პერგამენტზე საწერად, მხოლოდ „საწიგნობროდ“ გამოიყენებოდა, სტელებზე ან სხვა ნივთზე კი არამეულს, ებრაულს, ბერძნულს თუ სხვა ანბანს იყენებდნენ? არ არის გამორიცხული, რომ ქართველთა წარმართული კულტმსახურება ორ ანბანში განაწილდა, ერთის მხრივ, პერგამენტზე, ხოლო მეორეს მხრივ, სტელაზე თუ სხვა ნივთზე საწერ ანბანებს, რომ ეს კულტმსახურება სტელაზე და სხვა ნივთზე ამოსაკვეთავად ქართული ანბანის გამოყენების უფლებას არ იძლეოდა (ამოკვეთილი, ამოჭრილი კუთხოვანი ანბანი ადამიანის სახელის „სიცოცხლის“ შეხება ხდება, - ეს არის „სიცოცხლე“ შეხებული სიტყვები და არ არის გამორიცხული წარმართული კულტმსახურების სიტყვათა „დაბეჭდვისთვის“ ქვედა ანბანის გამოყენება რომ არ დაეშვა... სტელაზე ამოკვეთილი წარწერა „ამქვეყნიური საგზალია“, მიჩნეულია, რომ ხელი ხელური სამყაროდან ამ ანბანის საშუალებით მიმართავს ამქვეყნიურს; ხშირ შემთხვევაში ანბანში კვეთა ასის სახელი და მისი გრაფიკული მოხაზულობა სიმბოლურად რომელიმე ხელური წიგნის ან ღვთაების განსახიერებელია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სტელაზე, რომლის გარშემოც ლოცვა აღევლინებოდა და რიგიც, ცხადია, საკულტო დანიშნულება ჰქონდა, ქვედა ანბანზე არ ყოფილიყო ნებადარ-

თული ასოების ამოტვიფვრა... ქვას, სტელას,- მარადისობისა და უკვდავების სიმბოლოს, ქართულ წარმართულ ტაძარში, შესაძლოა, ქართული ანბანით არ უკვეთებინათ წარწერას... მართალია, მიზეზები სრულიად სხვა არის, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ქრისტეს ჯვარზე წარწერა - „იუდეველთა მეფე" მხოლოდ განსაზღვრულ ენებზე და განსაზღვრული ანბანით შეიძლება გაკეთდეს...). - და თუ თეიმურაზ ბაგრატიონის შემორჩენილ ცნობაში ამგვარ მოვლენაზე მიმანიშნებელი კვალია შემორჩენილი, მაშინ გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ წარმართული პერიოდის ქართულ სტელებზე და სხვა საგნებზე მხოლოდ არამეული, ბერძნული და ბერძნული ანბანები გვხვდება, ხოლო ქართული ანბანით გამოკვეთილი სტელები კი არ ჩანს... სტელები არა, მაგრამ, შესაძლოა, ცალკეული ქართული ასოების ამოტვიფვრა არ იყო მიუღებელი, - ცალკეული ქართული ასოების ამოტვიფვრა, ამოკაწვრა, შესაძლოა, ნებადართული იყო როგორც სტელებზე, ისე ცალკეულ- ძირითადად, - საკულტო დანიშნულების საგნებზე... მკითხველთაგან, ალბათ, ბევრი მიხვდა, რომ ჩვენ პავლე ინგოროყვას ის ნაშრომი გვაქვს მხედველობაში, რომელშიც მკვლევარი გვიანანტიკური ხანის ფიალაზე ქართულ ასოებს - „ბ"-ს, „პ"-ს და „ქ"-ს კითხულობდა[1]... ამ ფიალაზე ბერძნულად ბერეკეთ პატიოსნისა ნახსენები (ბერძნული წინადადება ასე ითარგმნება: „მე მეუღლემ ფილიპეს დედამ განვადიდე ბერეკეთ პატიოსანი"), ხოლო იქვე ამოკაწრულ იკითხება ქართული ასოები: „ბ", „პ" და „ქ", რასაც პავლე ინგოროყვა ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული ბერეკეთ პატიოსნის ინიციალებად მიიჩნევდა (ბერეკეთ პატიოსანი ქართველი ტე)... 1940 წ-ს აღმოჩენილ სტელაზე შესრულებულ არამეულ წარწერაში კი წერია საკუთარი სახელი „ზევახ" (ZIWH); სტელაზე პავლე ინგოროყვა კითხულობდა ქართულ ასოებს: „ზ"-ს და „ს"-ს, რაც, მისი აზრით, წარმოადგენს ქართველ სახელისა - „ზევახის" (იგივე - „ზევახ", - ეს არის ალტერნატიული ფორმა სახელისა - „ზევახ", „ზევახის"[2]) და რაც არამეულ ტექსტში არაა დაფიქსირებული, არამედ წყვეტილებრივად,- მოვლენად დაეწერათ... ჩვენს მეცნიერებაში პავლე ინგოროყვას ამ წაკითხვას უმეტესწილად უნდობელი თვალით უყურებენ იმიტომ, რომ ჯერჯერობით არსად არ აღმოჩენილა ადრეული პერიოდის ისეთი სტელა, რომელზედაც თუნდ ერთი სიტყვა მაინც ეწეროს ქართული ანბანით, რაც დაადასტურებდა წარმართულ ეპოქაში ქართული ანბანის არსებობას... მაგრამ, თუ ქართული ანბანით წარმართულ ეპოქაში სტელაზე თუ სხვა საგანზე არც ფართოსაზომით და არც მის შემდეგ მთლიან სტელებს არ წერდნენ, არ ტვიფრავდნენ, მაშინ, ალბათ, გაძნელდება ასეთი სტელის ან საგნის აღმოჩენა: წარმართობისდროინდელი პერგამენტის აღმოჩენა კი, ცხადია, მით უმეტეს, გაცილებით უფრო ძნელია... ჩვენ არა თუ წარმართობისდროინდელი, - ქრისტიანობის ადრეული პერიოდის პერგამენტებიც კი არ შემოგვრჩა,- ძველ ტექსტთაგან შემოგვრჩა მხოლოდ ის, რასაც შემდეგ გადაწერდნენ ხოლმე წინარე პერიოდის პერგამენტთაგან... მაგრამ, თუ საქმე ისევ აღმოჩნდა პავლე ინგოროყვას მიერ ვრცლად შესწავლილის მსგავსი სტელა ან საგანი, რომელზედაც არაქართულ ენაზე დაწერილ სტელებთან ერთად იქვე ისეთი ნიშნები აღმოჩნდება, რომლებსაც ქართული ანბანის მსგავსება ექნება და რომლებშიც არაქართულად დაწერილ სახელთა გვერდით ქართული ანბანით გამოყვანილ ინიციალებსა თუ ქარაგმებს ისევ ამგვარად დავინახავთ, მაშინ კი, ალბათ, უნდა ვერწმუნოთ პავლე ინგოროყვას სიმართლე. უნდა ვერწმუნოთ, რომ, თურმე, არ შეიძლებოდა არც ისე. ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ქართული ანბანის შექმნას წარმართულ ეპოქაში ვარაუდობდა და საჭირო იქნება ვეკითხოთ, - ხომ არ იყო ქართული ანბანი ისეთი, რომლითაც მთელ სტელებსა და წინადადებებს მხოლოდ პერგამენტზე წერდნენ, სტელაზე და სხვა ნივთზე კი - არა? ჩვენი წერილის ეს მონაკვეთი გვინდა დავამთავროთ პერიოდ, რევაზ თვარაძის სიტყვებით, - მკვლევარი წერს: „იქნებ ის რამდენიმე ნაბეჭდი ასო, მეხუთე საუკუნისა თუ ქრისტიანობის მიღების ხანაზე ძველი (მთელი ანბანის ადრეულ არსებობას რომ დაადასტურებდა), კარგა ხანია იქვე არის ჩვენს თვალწინ, ჯერჯერ წამს შეგვიძლია ამ ასოების ხილვა, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად ვერ შეგვიმჩნევია. ჯერჯერ შემთხვევაში, ასე ხშირია სახელდობრ მკვლევარის პავლე ინგოროყვას"[6]... მართლაც და, იქნებ, პავლე ინგოროყვამ ნათლად დაინახა ის, რისი დანახვაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ? თუ ქართული ანბანი წარმართულ ტაძრებში მართლაც არსებობდა, მაშინ, ცხადია, ამ ტაძრებში ქართულ ენაზე ბევრი დაიწერებოდა როგორც წმინდად რელიგიური, ისე საისტორიო ჟანრის ნაწარმოები, რომელთაგანაც მომდევნო პერიოდებში ისეთს აღარავინ გადაწერდნენ, რაც ქრისტიანული მოძღვრებისათვის, ალბათ, მიუღებელი იყო და ასეც პერგამენტზე გადაიტანდნენ მხოლოდ იმას, რაც მისაღებად მიაჩნდათ... იქნებ გამოჩნდეს, ვფიქრობთ, სავსებით გამართლებულია, როცა ვფიქრობ, „ქართლის ცხოვრებაში" ჩართულ „ფარნავაზიანში" წარმართობისდროინდელ კვალს ეძებენ (რევაზ ბარამიძე, ზაზა ალექსიძე; - რევაზ ბარამიძეს „ფარნავაზიანი" მკაფიოდ ჩამოყალიბებული სიუჟეტისა და სხვა არაერთი მიზეზის გამო წარმართულ ეპოქაში შექმნილ, - მთლიანი სახით შემორჩენილ ნაწარმოებად მიაჩნია). ასევე, უფრო სარწმუნო გახდება მოსაზრება, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრება" მართლაც მე-4 საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი (რევაზ სირაძე, მარინა ჩხარტიშვილი, რამაზ პატარიძე, გურამ ნარსიძე, ლელა პატარიძე... ხსენებულ მკვლევრებს ეჭვი არ შეაქვთ იმაში, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრება" მართლაც მე-4 ს-შია შექმნილი, როგორც ამას თვითონ ძეგლის შინაარსი გვკარნახობს და ამ დებულების განსამტკიცებლად არაერთი არგუმენტი მოჰყავთ.. ხსენებულ მკვლევართა, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩვენ ვრცლად ვმსჯელობთ ცალკე წერილში[7]...

ამრიგად, თეიმურაზ ბაგრატიონის შემორჩენილ ტექსტში, ჩვენი აზრით, შემონახულია კვალი რომელიღაც ძველი გადმოცემისა, რომლის თანახმად ქართულ წარმართულ ტაძარში ორი ანბანი გამოიყენებოდა,- ერთი, - ის, რასაც ქართული „ხუცური" ეწოდება, მხოლოდ პერგამენტზე საწერად იხმარებოდა, მეორე კი, როგორც პერგამენტზე ისე ქვაზე, - სტელაზე და სხვა საგნებზე ამოსატვიფრი წარწერებისათვის იქნებოდნენ... ამგვარი შინაარსისა უნდა ყოფილიყო ის ცნობა, რომელსაც „მატიანე შემეცნებათა"-ს გზით თეიმურაზ ბაგრატიონამდეც მოეღწია...

ჩვენი წერილის ძირითადი მიზანი თეიმურაზისეული ტექსტის შინაარსის უკეთ გაგება და, თუ რამდენად მოემსახურება ამ შინაარსის ჩვენეული წაკითხვა ქართული ანბანის ისტორიის კვლევას, ეს უკვე სხვა საკითხია...

---

1. რამაზ პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ. 1980, გვ. 17.
2. იქვე.
3. პავლე ინგოროყვა, თხზულებანი, IV, თბ., 1978, გვ. 487-494.
4. იქვე, გვ. 488.
5. იქვე, გვ. 494-501.
6. რევაზ თვარაძე, მხატვრული სიტყვით გაცხადებული სული,- წ ჯნში - ქართული მწერლობა, ტ. 1, თბ. 1987, გვ. 11.
7. კოლაუ ურთხელ „წმიდა ნინოს ცხოვრების" დათარიღებისათვის, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი", ტ. II, თბ. 1999.



ილუსტრაცია მ. ჯავახიშვილის რომანისა
„ჯაყოს ხიზნები"

მხატვარი
გია ლაშხი



შოთა,

ილია,

აკაკი,



ვაჟა

და

გალაკტიონი